ბექან მშვიდობაძე

ლექსები და რობაიები



თბილისი
2003 წ.

# წინასიტყვაობა

ლექსებისა და რობაიების ავტორი ბექან მიხეილის ძე მშვიდობაძე დაიბადა 1949 წ., ქართველია. 1966 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1971 წ.—წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (იყო ლენინური სტიპენდიანტი). 1976 წ. მოსკოვში ავტოსაგზაო ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის მრავალი წიგნისა და გამოგონების ავტორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მსს-სა და სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქსოფმანქანათმშენებლობა"-ში. ამჟამად ინდმეწარმეა.

ლიტერატურული მოღვაწეობა 1988 წლიდან დაიწყო. აქვს ასობით ლექსი და სონეტი სხვადასხვა ენაზე, ათობით მოთხრობა. მათ შორის, დეტექტური და ფანტასტიკის სტილში. პირობების ქონის შემთხვევაში შეეძლო გაცილებით მეტის გაკეთება. მას კი ხელს უშლიდნენ. ვეძებ სპონსორს, მოხარული ვიქნები სხვა ქვეყნებში ნაშრომის გამოქვეყნებით.

წიგნში სხვადასხვა მიზეზთა გამო მოთავსებულია ნაშრომთა მხოლოდ ნაწილი. ზოგი დაგზავნილია, ზოგიც დაკარგულია. ავტორი საჯაროდ აცხადებს ყველა გამოცემაში საავტორო უფლების შესახებ. რაიმე გზით ხელყოფის შემთხვევაში, უფლების დაცვას განახორციელებს მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონების შესაბამისად. ავტორი მადლობელია მათი, ვინც მხარში უდგას ლიტერატურულ მოღვაწეობასა და გამოქვეყნებაში. მათ შორის, ამ ქვეყნიდან წასული დიდი პიროვნებების გ. ფანჯიკიძისა და ირ. აბაშიძის.

**Copyright**
© მ ბ მ

*პირველი გამოცემა*

სიამოვნებით და კმაყოფილებით მიღებული იქნება სურვილები და შენიშვნები.

ტელ: 25-25-17; 96-77-19; 897 58-85-33; ან (62-03);
0102; თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის №25

# დიდო ილიავ!

ილია ჭავჭაძეს

დიდო ილიავ!
მართლაც ზე კაცო.
შენ რომ იცოდე.
მომავლის მეკვლევ, სიამაყევ!
ბრძენო სინათლევ...
შენ მიწა-წყალს, შენს ხალხს,
პირმშოს შენსას,
საფიცარს, იმედს...
თითქოს სიბერე შეპარვია და ...
არა, ველარ გეტყვი მე შენ მეტს.
ძველი, და ახალი, თაობებს შორის
ბრძოლაა. ნაპრალი იმატებს.
ამას აქვს მრავალი მიზეზი და,
ახალი ხშირად იმარჯვებს.
ისე ვაება, ნაღველი ... კი ახლავს.
თანაც არაფრისათვის ხშირად.
შენ, რომ იცოდე.
მარა ენა, სიტყვა, ...
გახვრეტილი შუბლით,
შენი სევდიანი სახე
საბრძოლო დროშაზე;
მომავლისადმი რწმენაზე, იმედზე...
ისევ და ისევ უკარნახებს.
დიდო ილიავ!
იმედო ჩვენო.
ბრძენო, სიკეთევ.
საქართველოსთვის
ვის სურდა მეტი კარგი,
თუ არა შენ.

1989 წ.

# ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝ (პაგარებს)

ო, პაგარავ, სად მოხვედი, იცი? გენაცვალე შენ!
აქ ყოფნა არ არსებობს მობეზრებოდეს ვისმეს.
ბნელში მოხველ, მზის სინათლე ნუ მოგატყუებს შენ.
თუ რას ნიშნავს ყოველივე, გირჩევ — ჩქარა, ჩქარა, შეიცან!
ო, პაგარავ, სად მოხვედი... შენ იხარე შენ.
შენ, ხომ ჩვენი იმედი ხარ, ოი, გენაცვალე.
ნუ იჩქარებ, ნუ ილევებ, კარგად მიმოიხედე.
ცხოვრებაში ბევრი ბრძოლა, რას იზამ, მაინც მოგიწევს.
შენ რომ მოდი და თან მოგყვა ვიოლინო-ეს.
მასზე კიდევ რას დაუკრავ ღმერთმა იცის და შენ.
ტკბილად ღიღინს წამოიწყებ? მერე შეცვლი „ვინანე".
ზოგჯერ კიდევ ვიოლინო ბობოქრობას დაიწყებს.
ვიოლინო თუ არ გაგიტყდა, ნუ დაეძებ ნურაფერს.
იმას კარგად მოუარე, დაკვრაც კარგი ისწავლე.
სხვისი ხელში ნუ ჩააგდებ, გაგიფუჭებს, იცოდე.
ვიოლინო დაგჭირდება, მის გარეშე ივარგებ?
ძალას იგი შენ შეგმატებს, როცა სალხენად მოუსმენ.
გინდა მარტო, გინდა სხვებთან თუკი ააზღუქუნებ.
მაშინ იგი შენ გიშველის, მოგიშუშებს იარებს.
გულის დარდებს ვიოლინო ძლიერ გაგინიავებს.
დაიბადე? ჯადოსნური სარკე თანაც არ დაგყვა?
შიგ ჩახედავ და იხილავ რაც არსებობს უამრავს.
რასაც მათში თითს დაადებ, იქვე იღებ იოლად.
ნუ იფიქრებ, გენაცვალე, ასე სჯობდეს მიყოლა.
ზოგჯერ კიდევ სხვისი დაკრულს, რომ მოუსმენ აღზნებით.
ნუ ენდობი, ჩემო კარგო, ბგერებს ჰანგებს ნუ აჰყვები.
შეიძლება მახე იყოს, სხვას ფიქრობდეს, სხვას უკრავს.
აბა ყველას კი არ არის გულში ნადები რომ უჩანს.
ჰე, პაგარავ, გენაცვალე, ნუ დაღონდი, ლამაზო.
შენ ხომ ფრთებიც პაწაწინა თან დაგყვა და ნავარდობ,
იმათ თავისი ადგილი აქვთ, მერე რა რომ აქ არ ჩანს.
აბა კარგად, ჩემო ბრძენო, მეტს გისურვებ მაღლა სვლას.

1989 წ.

# გიყვარდეთ საქართველო

გიყვარდეთ საქართველო -
საქმით, გრძნობით, გონებით.
გიყვარდეთ თქვენი სამშობლო.
გვეყო ბჭობა და ბოდვები.

იმ გზით გევლო, უნდა გევლო
უბედურო საქართველოვ!
შენ შვილებს პირველ რიგში
ამას მე რომ ვსაყვედურობ.
მაგათ, მაგათ და მომავლებს
მეტი ჰკუით ესახელოთ.
მერე ისე, რომ არ მოხდეს,
მტრები ისევ აამღერონ.

მეტის შემძლევ, მეტის ღირსო,
ჩვენო ერთგულო სამშობლოვ.
მერე ხდება ასე როგორ
ბევრი შენ რომ გპირფერობს.
მინდა გნახო, რით გიშველო.
გკოცნო, ყელზე გეხვიო.
დროზე მინდა მოგაშორო,
ვინც გჩაგრავს და ორგულობს.

გიყვარდეთ საქართველო -
საქმით, გრძნობით, გონებით.
ნუთუ ვეღარ ამჩნევთ იმას,
რომ სუსტდებით, ობლდებით.

1989 წ.

# მაშ გვეთქვას, ისევ გვეთქვას!

დიდება, ღმერთო, ვინც გაგვაჩინა.
ვინც შენი მცნება აღმოაჩინა.
და საქართველო გადაარჩინა
მტრის რისხვას, ელდას უვარგისისას.
ის ქართველი აბა რის მაქნისია,
საქართველოსთვის უვარგისია.
ისე, ფორმისთვის, სიცილ-ხარხარით,
სამშობლო მხოლოდ დაუფიცია.

სიბრძნე, სიმტკიცე მას არ სწადია.
სიბრიყვე სძალავს გულერთგულებას.
სულ შეჯიბრშია, განა საქმითა.
ტვინგრეხილობით, ზედმეტობითა.
ის საქართველოს ველარ დაიცავს.
საქმე მისით კი სამტროდა ხდება.
მერე იქნება, ისე მოხდება,
მტერი ჩუმად რომ შემოგვესევა.

ბევრნი არიან სხვა ქართველებიც,
გულებით ძგერენ უფრო სხვაგვარად.
მაშ გვეთქვას, ისევ გვეთქვას! დიდება მარად!
მათ საქმეს, შვილებს,... მშობელ ქვეყანას.

1989 წ.

# საქართველოვ!

ვინ არის, რომ არ უყვარდეს
მისი შვილი და მშობელი.
არის? ვინმე გულით ეთქვას,
მე მძულს, არ მწამს ჩემი ერის.

გვხვდება ზოგჯერ გულნაკლული,
თან მიზნებით რეალურით.
იგი ატყობს, ვერ გამოვა
ასე ბოდვით საქმე რთული.
განა მერე ცუდი არის?!
რომ არ მღერის პირფერობით:
„ჰე! აყვავებულა საქართველო,
იყავით ასე მხიარული“.

ვისაც უყვარს საქართველო,
მხნეა იგი სულგრძელობით:
გაუმარჯოს საქართველოს,
მხოლოდ საქმით იტყვის, მეტით.

მაშ გამხნევდი, საქართველოვ!
გიფხიზლდება ერი შენი.
იფიქრე და იმოქმედე,
რომ იძახო ჰერი, ჰერი!.

1989 წ.

## სადღეგრძელო

გაუმარჯოს საქართველოს,
მის მთებსა და მინდორ-ველებს.
მშრომელს, ერთგულს და მოლხინეს.
გონებით და მკლავით ძლიერს.

იყოს მტკიცედ ფესვგადგმული.
ეხაროს და ეამაყოს.

წარსულთან და მომავალთან
ექნეს უკეთესი აწმყო.

არ მაკვირვებს მიღწევები,
იგი მეტი უნდა იყოს.
ღმერთმა ჰქნას, რომ მომავალში,
შეცდომებზე არ გვეფიქროს.

ამას კიდევ არ ეყოფა
მხოლოდ სიტყვა და სურვილი.
პირველ რიგში საჭიროა
მეტი აღქმა სინამდვილის.

მაშ, დავლოცოთ საქართველო.
მისი ერი-კლდე ნამდვილი.
მზის ჩასვლასაც, ამოსვლას ხომ
მოეტანოს მისთვის ტკბილი.

1989 წ.

## საქართველოვ, ლამაზო!

საქართველოვ, ლამაზო! —
ლაპარაკობს ყველა.
მარა თვითონ, რომ კარგია
ამაში მე რა?!

საქართველო სახელია.
მისი საქმით, შვილებით...
თავად რამდენ რამეს იკლებს,
თქვენ თუ კარგად იქნებით.

საქართველო მდიდარია
განა მარტო ბუნებით.
მერე ეს კი მიხარია.
მითხარ, რაში ვჭირდები?!

ეს ხომ ჩემი ვალიც არის.
მისით ვიღწვი, ვიზრდები.
მე იმ ქართველს არ ვაფასებ —
ტკბება მარტო დიდებით.

## წიგნს (ცოდნას)

„ისწავლე, ჩემო შვილო,
მეცნიერება გვიმოკლებს
ჩვენ ცდებს, სწრაფად მიმავალ
ცხოვრებაში“.
ა. პუშკინი

„სწავლის ძირი მწარე არის
კენწეროში გატკბილდების“.
დ. გურამიშვილი

„პრაქტიკის გარეშე თეორია
ცარიელი კი არის,
მაგრამ თეორიის გარეშეც
პრაქტიკა რომ ჭარტივაა.“

სწორია! ზუსტად ასეა.
ისმინე, სწავლის მძებნელო.
ნუ დაიზარებ სწავლასა.
იცოდე, მერე ინანებ
არ შესრულებას, პუშკინის და
გურამიშვილის რჩევისას.
არა ვარ მომხრე იმისა,

იყოს პრაქტიკა ყოველი.
მარტივი არის რატომღაც.
არა აქვს გამოყენება ულევი.
თუკი თეორიაც არ მისდევს.
არა ხარ წიგნის (ცოდნის) მფლობელი.
წიგნია ბევრის მომცემი.
ცოდნის მშობელი, გამზრდელი.
მომთმენი უცოდინრისა.
შექმნელი განმკურნავისა.
ბევრს ნიშნავს მასწავლებელი.
მისი რჩევა, ახსნა-განმარტებები.
მარა ისიც ხომ წიგნის ენიდან,
იმ ფუნდამენტიდან გამოდის?
და მაინც წიგნია სუყველაფერი.
წიგნი ნამდვილი, ერთ დროს შექმნილი.
გამდიდრებული, გადიდებული.
სიბრძნითა და ძალით დამძიმებული.
მაშ! ისევ და ისევ მაინც
წიგნია ყოვლის შემძლები.
ბევრი შრომისა და ტანჯვის მომცველი.
აზრისა და ცნობის მომშველი.
მაგრამ გახსოვდეს, ცოდნის მძებნელო,
მისი შემეცნება და მით გამდიდრება,
ასევე შრომასა და ტანჯვას მოიცავს.
მაშ: „ისმინე ცოდნის მძებნელო,
მიჰყევ დავითის მცნებასა.
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი.
თუ ეძებ გემოვნებასა“.

1989 წ.

# ლექსის წერა

ლექსის წერა მით დავიწყე, აზრი, ბრძნობა შიგ ჩამედო.
რომ ხალხისთვის გადმომეცა, რაც ვიცოდი, გულში მედო.
მეოცნება ცის სიღრმეში და სიტყვაშიც ის ჩამედო.
მომავალის რწმენით სავსეს, ზოგის საქმე არ დამენდო.
თუმცა მისი დაწერისას ბევრი რამე ხელს მიშლიდა.
ზოგი კიდევ მიმტკიცებდა, მეტი უკვე აღარ გინდა.
მაგრამ იყვნენ ღვთის მაგვარნიც — ნუ შეწყვეტავ, შენ კარგს
სთესო.
შინაურშიც, გარეულშიც კარგი ხალხიც არის, ღმერთო.
ზოგ ადგილას მას გადმოვცემ, რაც ცხოვრებამ მაგრძნობინა.
ბევრს პირდაპირ, ზოგს ირიბად მე ვცდილობდი რომ მემხილა.
რითმებზე კი ისე ხშირად, არც ვფიქრობდი, რომ დამეცვა.
მე მომწონდა სტრიქონების შინაგანად გადაგრეხვა.
დიდი რამე ვეღარ შევძელ, ოსტატობა აღარ მეყო.
სიყვარულმა, მონდომებამ... მე ცოტა ხანს დამეტყო.
ნუ დამძრახავს მე ნურავინ, თუ კი ვინმე ვეღარ ვაქე.
შეიწირე ჩემი ლოცვა, თუ კაცი ხარ, მეკვლე და მხნე.
ბევრი რამე, ჩემო კარგო, ორ... აზროვნად გადმოვეეცი.
ზოგ რამეს კი, გენაცვალე, მეტი სიღრმეც რომ მივეეცი...
ამით კიდევ, შენ მკითხველო, ნუ ჩაფიქრდი, ნუ დაღონდი.
კი გაიგებ სუყველაფერს, თუ ცოდნა გაქვს, არ ხარ შფოთი.
რუსულები, (გერმანული, ინგლისური), ცალკე უნდა გაიყიდოს.
თუკი ვინმე გადათარგმნის არ გეგონოთ, რომ მეწყინოს.
მხოლოდ ერთი თხოვნა კი მაქვს, ამ ჩვენს ძვირფას
მთარგმნელებთან,
ნამუშევრების თარგმნისას, ცოტა ყურადღებით უნდა იყონ.
აბა, კარგად, ჩემო ვარლამ, ნანა, მზია... ძია მიხო...
რაც თქვენ მოგწონთ ის ჯობია ის იყიდოთ, ის აიღოთ.
უფრო მეტი მას იფიქრებს, არა უშავს, ესეც იყოს.
თუკი ზოგი ხელსა გამკრავს, რატომ შვრება, ის იკითხოს.

1989 წ.

# ალაზნის პირას

შესაღამოვდა, ცოტა აგრილდა.
ო, რა კარგია გაჰყვე მის პირას.
სიო უბერავს, ტყე აჩურჩულდა.
ალაზნის ბუტბუტს, რომ შეეტყვისა.
ფიქრებში გართულს აბა რა დაგღლის.
გინდა დილამდის მატარე, გურამ.
ერთ მხარეზეა ჭალები, ზვრები...
იმის იქეთ კი მთის კალთა ურტყამს.
იქვე ახლოს რო მუხის ტყეა გრილი,
რტოთა შრიალით, შეგხარის, სუნთქავს...
დღეს საღამოხანს აქ ვიკრიბებით.
აგერ, მაგიდა უკვე გაშლილა.
თეთრ წინსაფრებში ტანწერწეტები,
დასტრიალებენ, ტვირთავენ სუფრას.
ხალხი თითქმის სულ შეკრებილა.
უცდიან ტოლიბაშს, თურმე ის ... უნდათ.
აგერ გამოჩნდა მაღალი, ზორბა...
და შემოსძახა, — გაუმარჯოს აქ მყოფთ სუყველას.
ასეთი არის ის მადლიანი კახელი ხალხი, კახური სუფრა.
ღვინით ტიკები გორაობენ უხვად.
დღეს წინანდალი და ტიბაანიც უნდათ.
ალაზნის ველით დავიწყოთ უნდა და ვადღეგრძელებ ჩვენ წინაპართ.
ნუ გეწყინებათ, სტუმრებო, ჩვენო — ტოლიბაში მაშინ ასე დაიძრა...
მაგიდაზე კი რას არა ვხედავ: ბეჭი რამდენი; წიწილა ბლომად...
ზოგი ბაჟეში, ზოგიც ისე მშრალად, ხაჭაპურები, შოთები... თბილად.
ყველი, მწვანილი ათასნაირი, იქვე ახლოს ხინკალსაც კი ვხედავ.
ქალებმა იგი, რომ მოიტანეს თან დააყოლეს, - გეთაყვათ თქვენა.
მიირთვით, სანამ ჩვენ მალე მწვადებს, ისევ მოვიტანთ.
ამასობაში თამადამ შესვა, ოი, სასმისები უხვად და კოხტად.
ვინ არ ახსენა, სად არ წავიდა და შემდეგ ჩემი ჯერიც მოვიდა.
მანამ შესძახა, დასჭექეთ ნიკა, ეხლა მე სიმღერა ისევ მომინდა.

და აზუზუნდნენ დუდუკები ტკბილად, აკორდიონით და დოლებითა...
ეს ჩვენი კეთილი ყმაწვილი კაცი, რომ ჩამობრძანდა დღეს
თბილისიდან...
ასე დაიწყო იმან, ამ სიტყვებით, როდესაც ხელით, ცოტა ხმადაბლაო,
მიუთითა.
მერე მაქო,ოი რა მაქო. მე სხვების, მართალი გითხრათ, ცოტა კი
მომერიდა.
ანდა ვინ უთხრა ჩემზე ამდენი კარგი, მე ძალიან გამიკვირდა.
მერე როს ყანწი დიდი, ტუჩისკენ იძრა, ნიკას თვალით რაღაცა
ისევ ანიშნა.
და დასჭექეს და მერე რა დასჭექეს, თითქოს შეიძრა ცა და დედამიწა.
შემდეგ გადმოხტა, ცეკვაც დაიწყო. ცქვიტად მე ხელი მომკიდა.
ოი, იმდენი მახტუნავა და მახტუნავა, რომ ცოტა კი დავიღალე,
მართალი გითხრათ.
მერე დავჯექით, სხვებს სიტყვა მისცა.
სანამ ისინი მე მელაზღანდარებოდნენ,
ცოტა რაღაცა კი მოვიფიქრე სამადლობელისთვის.
და რომ ვთქვი სიტყვა, ყანწიც დავცალე.
მერე არაფერი მახსოვს, მართალი გითხრათ.
დილით რომ წამოვდექი, როდესაც მზემ სხივი იშიშვლა, ვიფიქრე...
ო, რა კარგად მძინებია მასპინძლებთან იქვე, ტყის პირას.

1989 წ.

## ზღვაზე

უბერავს ქარი და ზღვაც შეიცვალა.
ნიავმა გაპქრა როგორც პეპელა.
ბუნების ენას ასე ადვილად გაიგებ?
ჩვენ რომ გვეგონა დარი იქნება.

აგერ ღრუბლებიც გადაიშალა.
მგონი წვიმასაც აპირებს ეხლა.

ტალღებმა ფერი მთლად შეიცვალეს,
მუქი მორებივით დაიწყეს გორვა.

ხომალდები შიგ სიღრმეში შევიდნენ.
სიბნელის გამო მოუმატეს ნათებას ყველამ.
ტალღები კიდევ უფრო დამსხვილდნენ.
ზღვამ კი დაიწყო ქშინვა ნელ-ნელა.

ტალღას ტალღაზე წამოაწვენდა.
ნაპირთან, მერე მაღლა ასწევდა.
გადმოისროდა, დაანარცხებდა.
ზარბაზნის ქუხილს მოგაგონებდა.

მე კი ზემოდან დავყურებ ამას.
აღტაცებული, რა ხდება ესა?!
და თუ გულს რაიმე დარდი აწვა,
ვხედავ, რომ ჩამოშორდა ისინი
ნელა-ნელა ყველა.

1989 წ.

## კავკასიონი

ჩამთავრდა ფოთლის ცვენა, სოფლის ჯახირი.
გლეხებმა მინდვრად ჩააჩუმეს ურმების ხმაური.
ნადირმა აიშვა, ხმა ამოიღო და დანავარდობს.
ტყე გაშიშვლდა, გამძაფრდა, ღრუბელიც ნადობს.

ზამთარი მოდის, ზამთარი მოდის, მერე!
იცით?! რას ნიშნავს ეს, შვილებო ჩემო?!
ეჩურჩულება ჩიორა ბჟღარტებს და გულით კვნესის.
ნუთუ გაზაფხულზე ველარ ჩავიკრავ ამ ჩემს ნაშობებს.

კავკასიონი?! მერე რა ის რომ არ უფრთხის.
განა ეს კმარა რომ დაეიწყნარო მე მღელვარება?!
მოიცათ?!... კავკასიონი მზე არის, მზე დღესაც.
ნახეთ! რა სიყვარულით გასცქერის მშობლიურ მხარეს.

უკანასკნელი იმედი! მარად უმწიკვლო კავკასიონი?!
კი მჯერა, ასეა ასე. ნახე როგორ დგას.
ნადირთა ხროვა, სხვას რომ აშინებს, მას ალამაზებს.
შავი ღრუბლები? ეს ხომ მისთვის ლხენაა, ლხენა!

მაშ რა მაშინებს, რამ დამაფიქრა? რა მემართება!
ნუთუ ვერ დავძლევ შიმშილობას, უწყლობას, ციებ-ცხელებას.
მოდი, ზაფხულო, როცა გინდა, შენ მე შეგხვდები.
აღარ მაშინებს აღარაფერი, კავკასიონი როცა ახლოს დგას.

1988 წ.

## ახალი წელი

გილოცავთ თქვენ ახალ წელს!
მთელი გრძნობით და იმედით:
რომ სიკეთე თქვენს სახლებში,
მოვა ბლომად, ნუგეშით.

ბევრი რაიმესთვის მიგეღწიოთ.
თქვენი შრომით და სიკეთით.
მეტი ჯანმრთელები ყოფილიყავით.
ჩემთვის სულერთია ვინ იქნებით.

მრავალ ახალ წელს დასწრებოდეთ.
ჩვენი სამშობლოს გულისთვის.
უფრო ეცადეთ და იმოქმედეთ,
მეტი ღიმილით და ღიღინით.

გილოცავთ თქვენ ახალ წელს.
მთელი გრძნობით და იმედით:
ტკბილად, ყოჩაღად იყავით.
ყოველ წელს მეტი შვილებით.

1989 წ.

## მიმოხილვა

გავხედე წარსულის ბედით დაჩაგრულს.
გულს სევდა მიხევს.
ვიღაც ჩამძახის, საცაა მოვალთ,
გავსრესავთ ჭინკებს.

გემი ტორტმანებს მიგნით სიღრმეში,
ქარიშხლიან დღეს.
თვალუწვდენელ სიბნელეში
მე ვდგამ ნაბიჯებს.

ვნებათა ღელვა გულს ეხეთქება,
შვება არ არს თან.
უკანასკნელად იღიმება
მტერი ტაძართან.

ქარში ტიალში, ორომტრიალში კუბო ტრიალებს.
ტყეში, ჯურღმულში, ღამით უფსკრულში ვამჩნევ იარებს.
ღლენი მიჰქრიან ღონემიხდილნი, მწუხარედ, ობლად.
მე, ყვავილებო, შემოდგომასა ხვალ ისევ მოვალ.

ვწუხვარ წარსულზე, ზვირთებთან ერთად ისევ იმედით.
იდუმალებით... ნაირფერობით, ბრძნული ილეთით.
ისმის სროლის ხმა სანაპიროზე ნორჩი იებთან.
ჯვარზე ლომია გამოსახული ჩვენს ძმობილებთან.

1996 წ.

## სამშობლო

„თრთიან იები და კიპარისი
სისხლისფრად ღელავს.
ცრუ შთაგონებით დაბარბაცებს
კოჭლი ყორანი“.

მწარედ ვიგრძენ ობლობა.
ვნაღვლობ, რისთვის ვცდებოდი.
ახვრებს... კაციჭამიებს...
რაში ვენაღვლებოდი?!

დადგა ფერიცვალობა.
რეკდნენ იუდ-ნოეთი.
აღარ მახსოვს სამშობლო.
იყო მიეთ-მოეთი.

1996 წ.

## ალეგორია

რომ აჩრდილნი ასკდებოდეთ
უოცნებო ნაპირებს.
სიზმარივით გაიფანტოს,
ჩვენთვის ცუდს ვინც აპირებს.

გაფრენილი ელვა ეცეს
ყრუ, უაზრო... ქმედებებს.
სულ სიყვარულს ვესწრაფოდეთ,
სულ სიყვარულს ვეძებდეთ.

1996 წ.

# Ო, ᲔᲜᲐᲕ!

იაკობ გოგებაშვილს

„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ.
შენ, ჩვენო ნიჭო
სრბოლავ და ფრენავ“.
შენ, ჩვენო ძალავ.
თრთოლვავ და მზერავ.
ო, როგორ დაგთმო?
მე სიკვდილისას?
შენ, ჩვენო ლხინო,
მტერო უნიჭოს.
ზოგის ჯვარმცმელო.
შენ მაინც ტკბილო.
ყველასთვის თბილო.
მხოლოდ შენ ერთო
ჩვენთვის საერთოვ.
არც მიწა-წყალი,
არც მთა, არც ბარი.
არც წინაპარის
დანატოვარი.
არ არის ჩვენთვის
ისე საერთო.
არ არის ჩვენთვის
ისე ერთგვარი;
როგორც შენ, ენავ.
შენ, ერთად ერთო.
ჩვენო ნიჭო და
ჩვენო იმედო.
წარსულის ჩვენის,

შენ აღმნუსხველო.
კაცთა გამრჩევო.
თანაც შემკვრელო.
შენ დამწერლობის
მეკვლევ უნაკლოვ.
ენაო, ჩვენო
მსხნელო, მრჩეველო.
და მომავალის
გამამკვლეველო.
შენ დაუღლელო.
შენ მოუცლელო.
მხოლოდ შენ ერთო...
და დაუცლელო.
ერთნაირად
ყველას მსახურო.
მითხარ შენ თვითონ
რით გემსახურო?!
„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ.
შენ, ჩვენო ნიჭო
სრბოლავ და ფრენავ“
მე რა დავტოვო,
რა მოვიგონო.
სიკვდილის პირას
რომ არ ვიღონო.
მერე კი ეგებ
ვინმემ, რომ მაინც
და ისევ შენით
მეც მომიგონოს.

1989 წ.

## ფიროსმანი

ვდგები ტილოს წინ და
ვკითხულობ – ეს ფიროსმანი.
ბნელთან მებრძოლი,
სილამაზით, ელეთ-მელეთით...

თბილის ქალაქის
ეს საცოდავი მეისტორიე.
მისი გონებით, გამოხედვით,
წმინდა ხელებით...

და შეიგრძნობა ხელოვნება
თუ რაა არის.
სული, გონება ილტვის რისკენ,
და მიისწრაფვის...

როცა პოეტი სულის;
სამყაროს ისე გადმოსცემს,
რომ შენ შესცქერი
და ხვდები კიდეც
თუ რაა, რაა არის.

## იები

ღამეა, ქარი ჩურჩულებს.
კაკლის რტო
ფხაჭნის ფანჯარას.
ზოგჯერ კი ამოიხვნეშებს,
თითქოს და
მორჩა, გათავდა.
ფიქრებში მყოფი, გართული
ვდგები სარკმელთან, რა ხდება?!

გარეთ სუყველანი ერთია.
შავად ქცეულა ქვეყანა.
შავშია სუყველაფერი.
თითს ვერ მიიტან თვალთანა.
მივიარ-მოვიარე და
ძლივსღა მოვბრუნდი კართანა.
დილით რომ ეზო ვიხილე
დავიბოღმე; რადგანაც —
იები, ნორჩი იები,
ვაი რა ბლომად დამჭკნარან?

1989 წ.

## არღანი

ჰეი, მოიტა მაგი
არღანი.
აი ორი
თუმანი ახალი.
ერთიც... და
დაატრიალე. შენ
კი გაჩერდი, მანდ
რად აყაყანდი.
ბიძავ, საცეკვაო მინდოდა.
ეგ რაღაცაა ახალი...
სისხლით ნარწყავი
მინდორი, ხედავ?!
ბიბინებს ნაზარდით.
ქარმა აღკვეთა
სიკვდილი.
სიმართლემაც, მგონი,
იფეთქა.
სამშობლოს ლხინის

ლოდინში,
ზოგი მთლად
გამოიკვეთა...
დალიე, რაღას უყურებ.
არ გეყო ქება-დიდება?!
ო, რა ღვინოა,
რა კარგი. ნეტავი
ვისი იქნება?!
დედი, ამ შოთი
პურებს,
შენ აცხობ?
გიშველოს ღმერთმა.
დიდება!

1989 წ.

## ორღანის კონცერტზე

ორღანის კონცერტს,
ვისმენ და ვტკბები.
ეს რა მოვლენაა,
რა ხმები? რისა?!
იგი ხომ მთელი
სამყაროს იტევს.
შენ რომ იცოდე...
გჯერა აღქმისა?!
ქღერს ჯადოსნური
ორღანი ს ხმები.
გუგუნებს მიწა.
ზღვაც, რომ ღელდება?!
თეთრი ღრუბლები ცაში ტრიალებს.
მაგრამ ცა უღრუბლოა. მაინც

ასე მოგეჩვენება.
შენ ისევ ზიხარ
იმ ძველ ტაძარში.
ო, რა რიგ მაღლა
აწვდილა მართლაც.
თითქოს თაღებიც ღმერთს
ეხვეწება. ო, დიდხანს
იყოს, ჩვენც შეგვერგება.
და ათასი ხელით
შემკობილ ფრესკებს
გადმოსჩქეფს ჰანგთა
წმინდა კოლონა...
შენ ისევ ზიხარ.
ის ჯადოსნური
ხმები გაღელვებს...
და რაც გინახავს,
ან კი შეგხვდება.
ყველა ფერებში,
შენ გეხეთქება.

1989 წ.

## როცა... ანუ ორომტრიალი

როცა რწმენა არ არსებობს
და სიმართლეს არ აქვს ძალა.
საქმეს სიტყვა ურჩევნიათ —
მითქმა-მოთქმა ათასგვარად.
როცა კაცი ქალს წააგავს,
სიყვარულსაც არ აქვს ძალა.
ვინ, რისთვის იბრძვის
რატომ, როგორ? — ისე
მოსწონს მას მასხარად.

როცა ლუდი ქვაპს წააგავს.
ქურდი ქურდობს სულ სხვაგვარად.
როცა კაცი ტყუილს ბლომად
ამჯობინებს სიტყვას მართალს.
ხელმძღვანელობს უფრო მეტად
მექრთამე და მაჩანჩალა.
სიმართლეს რომ არ შეხედავს
ქრთამზე ერჩის მეტი ძალა.
კაცს სიმართლისთვის დასჯიან.
პატიოსანს ხდიან ავად.
როცა თვითონ თაღლითები
კარგს აქცევენ ვიგინდარად.
კანონს ფასი არ ექნება.
ფული (შრომა) ხდება არარაფრად.
სიკეთეზე ავს იტყვიან.
ცუდზე კიდევ იავ-ნანას.
საყდრის სვეტი ცახცახს იწყებს,
და ემხობა... დედამიწას.

1990 წ.

## საზღვრებზე

საზღვრებზე არის
მთელი ქვეყანა.
საზღვრებო, იყავით
ყველგან ჩვენთანა.
გული ვერ იტანს
უსაზღვროებას.
მისი დარღვევა
იწვევს ობლობას.
საზღვრებში არის ჩვენი ცხოვრებაც.
ბევრს რომ გონია, მე ვარ ციდანა.

საზღვრებში გვინდა, ჩვენ მოქმედებაც.
სუყველაფერს რომ ეს შეეხება.
ზედმეტი ფიქრი,
ზედმეტი ჭამა,
ზედმეტი შრომა
და დასვენებაც
ორგანიზმსა ღლის.
აღარ ასვენებს.
რა უნდა მერე
ველარა ხვდება.
გონებას ჯანსაღს,
ძალას, ენასაც...
მოფრთხელა უნდა.
აღარ იფიქრო
მერე შემდრკალმა,
რაღა მიშველის
დავრჩი ობლადა.
ზედმეტმა ჯავრმა
და პრინციპობამ
იგივე იცის —
დავრჩი ავადა.
სიყვარულს თურმე
საზღვარი უნდა.
ცაც უსაზღვროა
შენ თუ გგონია.
მასაც აქვს „შრეები"
ანდა საზღვრები,
მტკაველით, ღობრით
ზომვა ძველია.

1989 წ.

## ეს ქუჩა

ეს ქუჩა იყო,
მე რომ ვცხოვრობდი.
მე ამ ქუჩებზე
ბევრი მივლია.

ვაი რა ბრიყვი
ვყოფილვარ მაშინ.
რამდენჯერ ტყუილად
ამომივლია და ჩამივლია.

მაშინ ვერ ვგრძნობდი,
არ ვიცოდი თუ?...
მარა რა, განა
ეხლა კი ვხვდები?
გგონია, რომ
ყველა პრობლემა
გადაჭრილია?

გაივლის დრო და
წარსულს მოვხედავ.
და რამდენჯერ ისევ ვიტყვი,
რა ტყუილად თურმე მივლია.

1989 წ.

## შენ ვის აფასებ?

მეკითხებიან, შენ ვის აფასებ?
ვის უფრო აქებ? —
სიკეთის მთესველს, სიკეთის მთესველს.
მას ჯანმრთელობა, მას ვენაცვალე.

მეკითხებიან, ვინ უფრო მოგწონს?
პატიოსანი, გამრჯე, მხნე კაცი...
სუყველა ერთად მეგობარო, თქვენ!...
ამათში რა არის მესარჩევი და საკითხავი?

შენ როგორი ხარ? მრავალს უკითხავს.
რავა, ვერ მატყობ?! ჩემო ბიძია?
რამდენი წელი ერთად გვივლია.
რა არ ყოფილა, რა არ გაგვივლია.

1989 წ.

## ვარდს

ვარდო! ლამაზო, სურნელოვანო.
მშვენებავ მთისა და ბარისა.
ყვავილო — მრავლისა მთქმელო.
სწორო ბულბულის ხმისა.

შენა ხარ ჩემი ვარსკვლავი.
შენსკენ მოვიხარი გულითა.
ოდეს სამსახურს ვამთავრებ,
მოვქრივარ სიყვარულითა.

ვიცი, შემხვდები ამაყად.
მართლა ნაღდი ხარ, ამიტომ
გიხდება, დგომა, გამართვა.
აი, ზოგნი გაშლილან ბოლომდის.
ზოგნი თანდათან იშლება.
აგერ ისინი რომ არის
დიდხანს კოკრებად დარჩება.

შენი ფოთლებიც ნაზია.
სათნო და სათაყვანები.
ეკლები, რომ გაქვს იმათაც
ეშხი, ლაზათი აჩნიათ.

შენ რომ კარგი ხარ ამიტომ,
ეკლებიც ვარდად მეკვრება.
წარმოიდგინეთ უეკლოდ,
აბა რა ვარდი გვექნება.

1988 წ.

## ბულბულს

ბულბულო! ნაზო ხმიანო.
შენა ხარ ქვეყნის მშვენება.
ჯადო გაქვს, სიცოცხლეს გვმატებ.
ბუნებას აქცევ ედემად.

ბულბული გალობს, ბულბული!
მოიცა, აქ გადის ჩემი გზა.
შეხედე რა ხმა აქვს, რას მღერის.
სული და გული შემიძრა.

აგერ მეორეც მოფრინდა.
ვაო! რა ქმნილებაა ეს ღვთისა.
მართლაც რომ ფრინველთა მეფეა.
მისი ხმით, უნაკლოდ შემოსილითა.

მარგალიტი ხარ ნამდვილი.
ვაო, რომ ხშირად არა ხარ.
იშვიათი ხარ სტუმარი.
ჩვენი მთისა და ბარისა.

შენ გამიღვიძე, ბულბულო,
ბგერათ შეცნობის უნარი.
შენ შემაყვარე, ცქრიალავ,
ხმისა და ჟღერის ავ-კარგი.

1989 წ.

## ციცინათელა

დაფრინავს იგი ასე ციმციმა.
უსუსური და მეტად ღიმღიმა.
ვითომ აშუქებს, ვითომ ანათებს.
აბა იგი წყვდიადს გაანათებს?

თითქოს ფრენაც იცისო, თუმცა,
მერე რა, ეს რა ფრენაა?
ყოველ წუთს ისევ მალ-მალე ჯდება.
ისვენებს. აბა, რა ქნას, იღლება.

სინათლე ცოტა აქვს. მარა
რაღაცას ხომ მაინც ცდილობს?
დღე იცის, არ ჩანს. ამიტომ,
გამოსვლას მთვარიან ღამეშიც არცა კისრულობს.

მავნებელი არ არის.
არც გიფუჭებს არაფერს.
მხოლოდ ბნელ ღამეში,
დაფრინავს. აქერ-ექერ ანათებს.

და მაინც იგი სასარგებლოა.
იგი ხომ წყვდიადს ალამაზებს?
იგი მართალია გზას ვერ გინათებს.
მარა ხომ ცდილობს. იმედს გიმატებს.

1988 წ.

## მერცხალი

მერცხალო! ჩემო მერცხალო,
მომგანო სითბოსა და ნამისა.
ახლოს იმყოფები თუ შორს წახვალ,
მე შენზე ვმღერი ნანინას.

გაფრინდი, შავო მერცხალო.
ფრინველთა მეფევ, შენაო.
შრომით და შენი სიკეთით
გლეხისთვის აღმაფრენაო.

მიდიან უკვე მერცხლები.
სევდით იგყოდა ბაბუა.
აგე! მოსულან მერცხლები,
აღგაცებით წამოიძახებდა.

1989 წ.

## მეისტორიეს

მეისტორიევ! იცოდე,
თუკი ამ საქმეს ხელი მოჰკიდე,
იყავი უსპეტაკესი.
თუ გინდა მარჯვენას გიქებდნენ.
და მტვერად არ იქცე:
შენც და შენი ნაწერებიც წარსულზე.

ნუ შედრკები, არ შეშინდე.
რაც არ უნდა ჟამი იყოს:
დრო დაგიდგეს.
სიმართლე იკვლიე,
მისით იკვებე.

იგი მაინც გამოჩნდება, იცოდე.
გაირკვევა ყველაფერი ოდესმე.

მეისტორიევ! იცოდე,
თუკი საქმეს ამას ხელი მოჰკიდე.
ჯერ მოემზადე და მერე იძიე.
ჯობია სხვას თუ არ მოუსმენ.

1989 წ.

## მოხუცი

მაგიდას უზის მოხუცი, ბერი.
აღელვებს მისი შვილების ბედი.
წერილის საწერად მოემზადება, —
მაგრამ გადადებს და აღელდება.

არა! რატომ ვიჩქარო და შევაწუხო?
თვითონ იციან რომ მე მიხედვა მინდა.
თეთრ წვერებს მერე ხელით
შეჰმუჰვნის და ჩაფიქრდება.
აბა, რაღაა ასე ცხოვრება?!
ნეტავი თვითონ როგორ არიან?
წერილმა ბევრად დაიგვიანა.
ეს ჩვენი პეტრე ფოსტალიონი,
ამ თოვლში ხომ მთლად დაჩაჩანაკდა.

მოხუცი ისევ ფიქრებში რჩება.
გაახსენდება მოხუცი დედა.
მისი ალერსი, მისი ზღაპარი,
რომ ეხებოდა მარტო დარჩენას.

1989 წ.

## მარტოდ!

ვარ ისევ მარტოდ.
შენ, ჩემო ნატო.
რა დავაშავე?
ვინ არ შევინდე?!

ო! რატომ, რატომ
მე დავრჩი მარტოდ.
ამგვარ ფიქრებში
უნდა ვიდარდო?!

როდის იქნება, მეც გავიხარებ.
ბავშვები ჭიკჭიკს რომ დაიწყებენ.
ეხ! რატომ მოხდა ასე, ამგვარად.
არა ჩემი მიზეზით, თანაც უმადლოდ.

მერე, ასე უნდა დარჩეს ბოლოს?!
ბებერმა მუხამ უნდა იტანჯოს?

1989 წ.

## კაცი თუ ხარ!

კაცი თუ ხარ!
გული რად გაქვს
ლოდივით?
ვეღარა გრძნობ
სხვის ძახილს
და სინაზეს.

სხვისი გულის
კვნესა, დარდი
გახარებს.
ღიმილი კი გაბრაზებს.
გალიზიანებს.
კაცი თუ ხარ!
გმართებს მეტი სინდისი.
რატომ ჩაგრავ,
უპატრონო ლაქვარდებს.
ცივი გულით,
და ბინძური ხელებით,
შენს კაცობას იგრძნობს
მხოლოდ სამარე.

1989 წ.

## პოეზია

ხელოვნების გარეშე,
აბა რა სიცოცხლეა?!
ხელოვნება არ ახარებს,
იგი რა სულდგმულია?!

ხელოვნება სიცოცხლეა.
აზრის, გრძნობის შემმატე.
ვინც მასთან ახლოს არის
მას აქვს ნამდვილი სიცოცხლე.

ამ ბოლო დროს პოეზია,
რაღაც უფრო მიტაცებს.
თაფლივით გემო ჰქონია.
სვამ და ისევ გწყურია.

პოეზია დიდია.
ვებერთელაა, დიდია!
ხალხში დადის, დაბოდავს.
გულებს ათბობს, არ ჰკოდავს.

პოეზია დიდია!
ხელოვნების სულია.
პოეზიის გარეშე
იგი უსისხლო გულია.

დიდება ნამდვილ პოეტებს.
მათ ნაშრომს და ნააზრევს.
როგორც ფუტკარი ნექტარს
გული გრძნობს, არ იშორებს.

1989წ.

## მე მინდა

მე მინდა, ვიყო გამორჩეული
ნაშრომით ჩემით და ნაფიქრალით.
მინდა იკითხოს ხალხმა უწყვეტად.
იმის წიგნები კიდევ თუ არის?!

ყველაზე მეტად ეს გამახარებს.
კარგი მომავლის შესატყვისია.
წარსული, აწყმო მისთვის არსებობს.
მომავალს ექნეს თეთრი-ხიდია.

1989წ.

# შემეძლო მეტი!

ჩემი ქაქანით
მინდოდა მეტი.
ჩემი კალმით კი
მეწერა მეტი.
როგორღა გითხრათ,
მაგრამ კი მოვცდი.
ხელს, რომ მიშლიდნენ —
ეს ბოროტები.
ეხლა კი ამას
ვინლა გაგიგებს.
შემეძლო მეტი —
ამას ვის ეტყვი?!
ეხლა რას იზამ.
ის დრო არ არის.
უსამართლობა
ბევრ რამეს იტანს.
იმას არ უნდა
შენი ფიქრები.
ახარებს მხოლოდ
გიტარა ნიკას.
ზედ დაამღერებს:
ჩვენ გავიმარჯვეთ.
რისი ლექსები,
და პოეტები.
ერთი დაცალე
და დააყოლე
ჩამოგვაშორეთ
ის მომღერლები.
მე კი შემეძლო,—
მეტი შემეძლო.
ეს კი, ალბათ,

ბევრსაც ახარებს.
ყველა საქმეში
ასე სჩადიან,
ეს ჩვენი ბრძენი —
ჰკუამოკლენი.

1989 წ.

## ქუთაისო

ქუთაისო, ქუთაისო!
ერთნაირად: ჩემო — სხვისო.
მოღალატის ვერ შემთვისო.
მარგალიტის შესატყვისო.

სულითაც და გულით დიდო.
ამაყო და მხიარულო.
მინდა გნახო, შენთან ვიყო
ჭირი, ლხინი ერთად ვიყოთ.

ის ფასის მთა, ის ფაზისი.
სათავეა რიონისი.
ისე დგას და იყურება, -
გულისცემაც გესმის მისი.

ის გელათი „ოქროს ფესო“,
იმედისთვის მაღლივ გედოს.
ენა მჭრელო, გულით უხვო,
თესე და მკე კიდევ უფრო.

ქუთაისო, ქუთაისო!
შენ მხარეო ბევრის... მთქმელო.
მეტის შემძლევ, მეტის მქმნელო,
შენ — გავალებს საქართველო!

ვერსად, ვერსად, სხვაგან ვერსად.
მსოფლიო რომ მოიარო.
შენ ვერ ნახავ ასეთ ქალაქს,
ანათებდეს ის „უდაროდ“.

არსად, არსად აბა სადა
ვერ შეხვდები, მშრომელს, მებრძოლს.
მორს მხედველს, მხნეს და ერთგულს.
საქმით, ბრძნობით უფრო რჩეულს.

ის რიონიც, ის რიონიც, რომ
ბუტბუტებს, მოჰქრის ლაღად.
ტალღებს ისე ათამაშებს,
თითქოს მღერის იავნანას.

მერე მღერის ისე – არა.
გარჯით, შრომით შემკობილი.
გაშლილ ჭალებს აგრძნობინებს,
აგერა ვარ, აგერა ვარ.

ქუთაისო, ქუთაისო!
ერთნაირო ყველასთვისო.
კარგ საქმეში, სიკეთისთვის...
შემომშველო იალქნისო.

1989 წ.

## ჰეი, პეპელავ!

დედის განცდა

ჰეი, პეპელავ!
გაფრინდი ჩქარა.
ხმა ამოიღე,
მანამდე. არა?!
შენც კი შეწუხდი.

ვხედავ მე ამას.
მარა რა ხდება
იქ, იმ მთის, გადაღმა.
ვერ მეტყვი მაგას?!
როდის გავიგებ,
დეპეშის პასუხს.
ნუგზარს რა მოსდის
მოსკოვში მარტოს.
მე აქ რა მინდა,
უბედურ დედას.
ჭრელო პეპელავ!
მიშველი, ნეტავ?!
შენ ბავშვობაში
გყვარობდი მეტად,
გამომეცხადე თითქოს
იმედად?!
თუ სანუგეშოდ
მოფრინდი მანამ.
მე შევიტყობდე
უბედურ ამბავს.
ჰეი! პეპელავ,
გაფრინდი ჩქარა.
შენი ჭირიმე,
მიშველი? ვერა?!

1989 წ.

## ზამთარი

ზამთარი მოვიდა, ზამთარი!
თოვლიანი, სუსხიანი, ქარიანი.
ხუტა ბაბუა უზის ძველ ბუხარს,
და შეშის ცეცხლს, უძრავს, უბერავს.
„სადა ხარ ბიჭო, ზოგჯერ გაჰყვირის –

ნავთი რომ გითხარი, დაგავიწყდა?!
ვერა, ვერ ვანთებ, ისე ჩაიბჟუტა.
ლამის გავიბერო ეს ბებერი ხუტა.
ბიჭო გოჩა! სადა ხარ, ჩქარა.
ხომ არაფერი მოგივიდა?!“
დგება მოხუცი შფოთით, სასწრაფოდ.
და ფანჯრიდან ხედავს გოჩა თოვლში თამაშობს.
ეჰ! ასეთი არის ახალგაზრდობა.
განა არ მახსოვს ჩემი ბავშვობა?
იყოს ბიჭებთან, დრო გაატაროს.
მე თვით მოვიტან, რად გავაწვალო?
მოხუცი მალე ნავთით ბრუნდება.
ცეცხლს ანთებს იგი უკვე ადვილად.
ააგიზგიზებს უხვად ნაპერწკალს.
და შეინახავს ოთახსაც თბილად.
გული უხარის, ლხენით ევსება.
კმაყოფილების გრძნობითა თვრება.
იცის ბიჭუნა, რომ მობრუნდება.
იგი მოხუცის კალთებს ეცემა.
მოხუცი კიდევ მოეფერება,
გაათბობს გულით, ბუხრით, ალერსით.
ბიჭუნა მადლიერებით მოხუცს ყელზე შემოეხვევა,
და აბა მოხუცს მეტი რა უნდა?

1989 წ.

## დღეს

ჰე! მამალმა დაჰყივლა, გრამიტონ!
არ ადგები, არ წამოსწევ კაცო წელსა?!
ეგერ ფანჯარაში გახედე, ალიონია უკვე.
ადექი-ისმის ხმა ეფროსიმესა.

მოიცადე ქალო, მაცალე.
მარტია, აგვისტო კი არა.
სიცივეა ჯერ კიდევ, სიცივე!
ბუხარში ცეცხლი მთლად გამქრალა.

ბარემ 8 საათიც მოვიდეს.
მზე აპირებს, მგონი, ამოსვლას.
ცოტათი ეგება შეთბეს, - მაცალე.
მე უკვე 70-სა ვარ, ბიჭი კი არა.

აი, მზემაც შემოანათა.
გრამიტონიც ფეხზე დადგება.
ჩქარა ჩაიცმევს თბილად, და
ოთახსაც გაათბობს კარგადა.

ეფროსიმ! შენ არ ადგები?!
უკვე 10 — საათი შესრულდა.
მე ყველა საქმეს კი მოვრჩი,
მარა მოწველა უნდა ძროხასა.

კი კაცო, აბა რას ვიზამ.
დღეს ვენაცვალე ნათელსა.
მომეცი ტანისამოსი,
ჩავიცვა თბილად, კარგადა.

და ტკბილი ორი მოხუცი
სახლიდან მალე გამოვა.
რომ თავიანთი, ყოფნით თუ შრომით
დღეს დღე მიუმატონ, დაამშვენონ ლოცვითა.

1989 წ.

# თოვლი

სიცივეა, სუსხი, ჯერ კიდევ ბნელა.
სოფელსა სძინავს მოუსვენარსა.
დამუდრებულან ყველანი სახლებში.
თუმცა დილაა ადრიანი ჯერაც.
თოვლი მოსულა, ბიჭო თოვლი!.
თეთრი, სპეტაკი, ქათქათა.
ო! რა სანახავია ჯერ ეხლა და
შენ მერე ნახე, მზე რომ ამოვა.
გადაშლილა თეთრი თოვლი,
მთებში, ბარად, მინდვრად, ველად.
ხის ტოტები შეუმოსავს, თითქოს და
მიშველთათვის უნდოდა შველა.
გამახსენდა მე ზაფხული,
ხეები რომ იდგნენ ლხენად.
დალუზულნი ვაშლით თუ მსხლით...
შრიალებდნენ ფოთლები ნელანელა.
ედო მწვანე ფერი ყველას.
ხეებს, მინდორს, არემარეს...
გაირბინა დრომ, მერე როგორ!
მოვა დრო და საერთოდ ვერ ვიხილავ.
მზე იგვიანებს რატომღაც.
აგერ ღრუბლებიც გადაიშალა.
ქარმა დაჰბერა და მოძლიერდა.
თოვლი აქცია ფიფქად და მტვერად.
მერე ციდან ისევ წამოუშინა.
ჩანს მიწას ეს აღარ აკმარა.
ბარდნა და ბარდნა ორომტრიალით.
უკვე ცოტ-ცოტა ყველას არგუნა.
ხედავ? ბუნებაც მიხვდა, რომ
მარტო ხის ტვირთვა აღარა კმარა.

დაე! ყველამ გაიგოს და გაიღვიძოს,
მანაც, ვინც ფიქრობს, „ვარ სანუკვარად“.
თანაც დილაა, დილა! სწრაფად წამოდგეს.
და გაისარჯოს, სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.
უნდა?! ზაფხულში ტოტები დაღუზული კვლავაც იხილოს,
ჩამოუაროს და ზრუნვით მოუფათუროს.

1989 წ.

## ზეცას

ცაო! კამკამავ,
ყოვლის მნახველო.
ვინ არის ვინ, რომ
შენ შემოგვწვდება?!

რა არ გინახავს
რას არ მოსწრიხარ.
მუდმივი მხოლოდ
შენ და დრონი ხართ.

ზოგჯერ მოთეთრო ხარ,
ზოგჯერ კი ლურჯი.
ნათებაც იცი
დღისით, ღამითაც.
რას არ აკეთებ, როგორ არ ცდილობ,
ბევრი რამ უხვად გამოგვიგზავნო.
სწორედ ამიტომ არის, რომ
დედამიწის მარჩენალიც ხარ.

1989 წ.

## ჩანჩქერს

ყველაფერს ვიფიქრებ, მაგრამ
წყალს დაკიდებულს შენს გარდა
მე ვერასდროს ვერსად ველარ ვიწამებ.
ესა ხარ მხოლოდ შენ, ჩანჩქერო!

ზვიადო, გულუხვო, მძვინვარევ.
კლდის წვერზე ისე გადმოეხეთქები,
აღარ გაშინებს შენ რამე.
მოდიხარ შხუილ-შხუილით.
სჭექხარ და ჰქუხარ მუდმივად.
კლდეს, ქვას, ქვესკნელსაც გაარღვევ.
ისე, ზედაც კი აღარ შეხედავ.

ცივი ხარ, თანაც ანკარა.
მუდამ მოელვარე, ბრწყინვალეც.
შნოსა და ლაზათის მომტანო,
ძალას და სილამაზეს შენსას ვენაცვალე.

1988 წ.

## ცოდვაა ის!

ცოდვაა ის, ვინცა კვდება.
ვინც უდროოდ, ის კიდევ უფრო,
ბევრად მეტად გულსაწვავია.
მაგრამ უსიყვარულოდ, შრომის
ლაზათით დაუღუზავი...
ის ხომ საერთოდ საცოდავია.

უსიყვარულოდ, საქმის, ხალხის, ვისმეს...
გული ჭაღარა ხელად გახდება.
გული იწვება, მაშ რისთვის შრომობ?!
თუკი ვინმესთვის არ გიხარია.

ცოდვაა ისიც და კიდევ მეტად.
ვის გულს არავინ არ შეჰხარია.
არის, არ არის, დაჰქრის, დაბოდავს,
მისთვის არავის აღარ სცალია.

1988 წ.

## მთის მდინარეს

მთის მდინარეო, ანკარავ.
ცივო, ბუტბუტავ. ჩხრიალავ.
მორბიხარ დაუღალავად.
სიცოცხლის და იმედის მომტანად.

შფოთავენ შენი ტალღები.
პაწაწიები, ნაღდები.
არც ცოდვა გაწევს არავის.
არც ვინმეს ხვდები ნაღმებით.

რაცა ხარ, ისა ნაღდი ხარ.
არც ერჩი არვის ძალითა.
არც შეპირებებით ავსილხარ.
არც უპირობებისაგან გარბიხარ.

არც წამგლეჯი ხარ არავის.
უშიშარი ხარ ყველასგან.
სასარგებლო და მდიდარი
კალმახებით თუ თართითა.

1989 წ.

## ქალს

ქალო! ლამაზო, შენ ეშხიანო.
თვალ-წარბი, წამწამები,
თითქოს და გიბზინავს.
ცხვირი, ნიკაპი-დახატულს მიგიგავს.

თმები გიშრისფერი, თვალები იის, (შავი).
სახე ხორბლის ფერი, ყურები — სანთლის.
ყელი მაღალი, ლამაზი, ქათქათა.
შენი ღიმილით ყველა ჯადოვდება.
ვაი, რა ცუდია, რომ ჩვენთან არა ხარ.

1989 წ.

## ბარნაბა

ცხოვრება მიდის.
წლები გარბიან.
რას ვტოვებთ უკან,
ჩემო ბარნაბა?!
აბა რა არის კაცის ცხოვრება.
აბა რა არის მისი წამება.
წუთისოფელი მოკლე და გულქვა —
ბარნაბა მითხარ რამე, რა გემართება?!
აბა რა გითხრა, ჩემო ბიძია.
თავი და ხელები შენც კი გაბია.
ნახე რამე საქმე, გადახედე აქეთ-იქეთ,
იშრომე, იშოვე შენიც ვალია.
ასეთი გაგებით, ჩემო ბარნაბა.
ჩვენ წინ ვერ წავალთ, ჩემო ძამია.
მომავლისადმი ლტოლვა, რწმენა— უფრო სხვა არის.
შენისთანებს ამისათვის აღარ სცალიათ.

1989 წ.

## ვაჟა-ფშაველას

მთის შვილი იყავ, ფშაველო!
აფრენილი ხარ ჩარგლიდან.
შენი ნაშრომი, ნაფიქრი
ხალხის სულსა და გულში დაფრინავს.

სამშობლოს ბედის ღელვაში
ცას ეკვრი, მოდგმა არწივთა.
მტერი, რომ თავს გამოიღებდა,
მავ დღეს აყრიდი კლანჭითა.

ჯერ დასჭექავდი ვეფხვივით,
სიტყვით ნაქებით, კალმითა.
მერე თვალებს დაუკორტნიდი,
შენი ნისკარტით ბასრითა.

ხატი ხარ მართლაც საფიცი,
შენი სიტყვით თუ საქმითა.
დიდების მთაზე შესდექი.
გულში ჩაგიკრა მთაწმინდამ.

1989 წ.

## პოეტი

ირაკლი აბაშიძეს

„გინდ ღარიბობდეს,
გინდ მათხოვრობდეს,
გინდ ბროლის ედგას
წინ მთა-გორებიც.
პოეტი მაინც უნდა ცხოვრობდეს,
მხოლოდ პოეტის დიდი ცხოვრებით.“
პოეტი მეტ ხანს უნდა ცხოვრობდეს.
ნაკარნახევით სულით, გონებით...

სარკეა იგი ჩვენი სამყაროს...
ფიქრით, თუ აღქმა-ნააზროვნებით...
და თუ გადარჩეს იგი ქარიშხლებს,
დროებათა ცვლას, ავდარს და ელვას...
არც სიმყუდროვით, არცა სიმუხთლით,
ჭორის არ შიშით, გონებით მშვიდით...
შენ შუქსა გფენდა პოეტი დიდი?!
მეტი რა ბრძოლა გინდოდა შენა?
რა სიყვარული, რა აღმაფრენა?
პოეტს არ უნდა შენი აფრები...
დიდი თასები ან ნავაჭრები...
მას მიანიჭე სიმშვიდე, რწმენა.
აბა ჩაფიქრდი თუ არა გჯერა:
ცხოვრობდა შენებრ იგი პოეტი?!
თუ ჰქონდა ბრძოლა და ბობოქრობა!
გინდ ღიღინებდეს.
გინდ ქვითინებდეს.
ჭინჭარშიც გხვევდეს
დაე ლოცვებით.
პოეტი მაინც პოეტი არის
აზრებით მისით... მონაპოვრებით.

1989 წ.

## მე მჯერავს

არ მჯერავს ჭორის.
არ მჯერავს ორის.
ერთის სულ არა.
თუმცა გააჩნია, იმასაც
შენ - ვინა ხარ.

მე მჯერავს ბევრის.
ნათქვამის მეტის.

საქმის ერთგულნის.
გონებით მჭვრეტის.
გულით მართლების.
ბუნებით დიდების,
რომ ამოძრავებთ
ერთგულება და სიყვარული
ჩვენი შვილების.

1989 წ.

## ხმაზე

შენი განწყობა, შენი ნათხრობი
მე შენი ხმაზე კი შევიცანი.
შენ როგორ ყვები
ამას კი ვისმენ, მარა ხმის ტემბრი
მეტყველებს სხვაზე.
როგორ წარმოთქვამ, რა შინაარსით.
სიღრმე სიტყვების, რა, ნიუანსით...
ზოგჯერ ეს უფრო მეტზე მეტყველებს,
ვინემ შენ რა თქვი, მაგ შენი ბასით.

1989 წ.

## დაობლება

„საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
ძნელდა ჰპოვოს რა დაკარგოს მან ტოლი".
ნ. ბარათაშვილი

აღარა აქვს გაქანება გონებას.
აღარა აქვს შრომას არც მოწონება.
თუგინდ იყავ სულით მეტად ძლიერი.
იყავ მართლა გულ და მკლავღონიერი.

ობოლიც ხარ? არ აცდება მონობა.
განქარდება შენი თავმოწონება.
შენი შრომა ვერ მიაღწევს ნაფიქრალს.
სულში იგრძნობ რაღაც დიდი სიმძიმეს.
არ ივარგებს კაცთა ურთიერთობაც.
შენი ჩაგვრა განა ამით მთავრდება?
ხელმძღვანელი უმიზეზოდ გიბრაზდება:
უნდა ჩაკლას შენში სული, ძლიერი.
დაგაობლოს მისმა უვარგისობამ.
მახინჯურად ესმის შენი გულის თქმა.
ნიკოლოზმა შენთვის რაც იგულისხმა.
„მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული."
ის ივიწყებს კაცთა ურთიერთობას.
სახეთა ცვლას, ახლებურად ქმედებას.
შენი ცრემლი ურჩევნია; სიმართლეს.
დრო კი მოვა და თვით დაბნელდება.

1989 წ.

## თემური

თემური, შვილო, თემური!
ვიღაც გაჰყვირის — არა?!
ექიმი დედა გუგული,
ასე რამ გაამწარა?
მარინა მისი მეუღლე
ისევ ქვითინებს მეტად.
თურმე თემური არ არის,
აღარც იქნება ქვეყნად.
პატარა გიო და ნინო,

დასტრიალებენ მამას,
იმათ ჰგონიათ, რომ სძინავს,
სხვა რამე სჯერათ განა?!
გარეთ წვიმს, თითქოს ცაც ტირის.
ზარები რეკავს — რა ვქნათ?!
ამ ნაკადულის ჩუხჩუხი
თემურსაც ესმის ალბათ.
დასრულდა ერთი სიცოცხლეც.
ვაი რა მოკლედ, ავად.
დაღლაც, რომ ვერ მოასწარი
უკვე გარბიხარ, სადღაც?!

1989 წ.

## შეწყვეტილი სიმღერა

შენმა არ ყოფნამ-
ჩვენ დაგვამწუხრა,
როდემდე ვივლით
მავეებში ნეტავ?!
შენი სიმღერა,
შენ, რომ იცოდი,
უიმედობას მუსრს
რომ ავლებდა.
ის თუ გვიშველის,
ის თუ გვიშველის,
ის მონატრება.
ის შებრალება.
სხვანაირად ვართ ჩვენ განწყობილნი.
შენმა არ ყოფნამ, ჩვენ დაგვაღონა.
ო! უბედობავ შენ რა გითხარი —
თემო! რამდენი უნდა გვემღერა?!

1989 წ.

## სასაფლაოზე

არის ვითომ აქ რამე? ამ შავ-ბნელ რიყეზე?!
წლები მიგვაქანებს, მერე როგორ, სირბილით.
ქვეყნად ერთი რამეა, ვერ აცდება ვერავის.
მხოლოდ ცივი სამარე, იტყვის ყველა სიმშვიდით.
მისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად,
რომ შავ მიწას მივებარდეთ?
ჩვენ, ხომ მიწად ვიქცევით,
ვითომ სული დაფრინავს?
მესაფლავევ მდუმარევ, ცივ სამარეს გვიმზადებ?!
ნუ გვიჩქარი, გეთაყვა, დღეებს ნუ გაგვინიავებ.
თუმცა შენ რა შუაში ხარ, ჩვენ ერთმანეთს ვამწარებთ.
ნეტავ იქ რომ ვიქნებით, თავს იქაც გავიწვალებთ?
დავცქერ საათს და ვღელავ, ნეტავ საით მივერბივარ?
რომ ცივ სამარისაკენ, ეს კი ვიცი თემოჯან.
მაგრამ იქ სად ვიქნები? სამოთხეში, ქარწყალში?
თუმცა ეს ყველაფერი, დევს ჩემს მოქმედებაში.
ნეტავ ვინმე მენახოს, იქედან მობრუნებული.
სიზმარში მაინც რომ ეთქვას, ჯობია როგორ მოვიქცეთ.
არის ვითომ აქ რამე? ამ შავბნელ მიწაზე?
წლები მიგვაქანავებს, ოი, ცივი სამარისაკენ.
ქვეყნად ეს დაგვრჩენია, ვთესოთ მეტი სიკეთე.
მაშინ ნუღარ იდარდებ, მიჰქრი ქვესკნელისაკენ.

1989 წ.

## ხმა ამოიღე!

ხმა ამოიღე!
ხმა გამაგონე!
მეყო ამდენი
დუმილით ჩაგვრა.

როდის იქნება,
რომ გათენდება.
და გავიგონებ,
ხმას შენსას — ვარლამ.
დუმილი მჩაგრავს
და გულს მიკოდავს.
შენი ხმა ტკბილი,
მე მახსენდება.
შენი ბაასი,
ენა — მახვილი,
იდუმალებამ
უნდა მოიცვას?!
ხმა ამოიღე
შენ, ჩემო ვარლამ.
გული მიკვდება.
თან მერიდება:
ო! ბედნიერი
მაშინ ვყოფილვართ
შენს ყვირილზე რომ
ნანა ცელქობდა.
ხმა ამოიღე!
ხმა გამაგონე!
მეყო ამდენი
დუმილით ჩაგვრა.
იქნება კი? რომ გამახარებ.
თუ ვრჩები მარტოდ —
შენს მოსაგონრად.

1989 წ.

# აკაკი წერეთელს!

„პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი,
მრისხანე გულის ღელვასა—
ბილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა."
ა. წერეთელი

მჯერა მე ბუნების მესაიდუმლის -
აკაკის! სახალხო მგოსნისა.
მისი ნააზრევის კითხვისას
გწყურდება აღქმა ქვეყნისა.

ყველას გულის გახსნას ის ცდილობს.
სულში სტენის ბევრს ხალხურს.
ვისაც არ ესმის, არწმუნებს,
ეს მერე გამოიღებს კარგ ნაყოფს.

ბულბულის ნაამბობს მიგიგავეთ.
ეს თქვენი სიტყვა-პასუხი.
არაფერს ნაღვლობდით იმისთვის,
მთის მიმსგავსებოდა ბარისას.

მთიდან მოფრენილი არწივი,
ბარშიც არ თაკილობდით დარჩენას.
ისე ჭიკჭიკობდით და ნავარდობდით,
ბელურები არც კი დაშლილან.

მშრომელი ხალხის ერთგული
დიდი აკაკი სად არის?
ლექსად ამბობდნენ ბავშვები,
სოფელში ასეთნაირად:

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო.
ია და ვარდი დამჭკნარი,
ხელახლად გამიხარეო.“

1989 წ.

## ქარი, რა ქარი!

ქარი, რა ქარი, სულ მთლად ახალი,
ჰაერის ტალღებს მიაქანავებს.
არც ჯიუტია, არცა ლახვარი...
მხოლოდ უვარგისს...აცლის და აგდებს.

სად დაიბადა, სად წარმოიშვა,
როდის, საიდან, რატომ ასეთად?!
ფრთები გაშალეთ თუ ფრენა გინდათ.
იგი გასწავლოთ საით და ვისთან.

ნუ გეშინიათ თქვენ, რომ შიში გაქვთ.
გამოდით! ჩქარა ყველა სახლიდან.
გინდათ?! რომ იყოთ ლაღად და მზისად.
უკან დახევა არ ვარგა, არა!.
იქნება? რომ ისევ დაჰქროლავს.
დრო კი წაგივათ ისევ ვარამად,
მაგ ნიღბებში, სოროებში... სწრაფად.

ქარი, რა ქარი! ისევ ახალი,
ბუნება ბადებს, ბუნება ფანტავს.
არც ჯიუტია, არცა ლახვარი...
იცოდე! ბოროტს მაინც დაგკარგავს.

1989 წ.

# საქართველო ხელს არავის არა ჰკრავს

საქართველო განა მარტო მთებია,
საქართველო არწივთ სამყოფელია.
მკლავში ძალა ქართველს გამოლევია?!
არ არსებობს, ეს შენ მოგჩვენებია.
ერთი ათასს ხშირად შებრძოლებია.
არ გეგონოთ, რომ ის მტრებს შერევია.
ქარიშხალი არ გინახავთ? მდელოზე.
აბა იმას ვინმე შესტოლებია?!
გულით იგი უდარდელი გგონია.
შენზეც ფიქრობს, შენ თუ მტერი გგონია.
ველარ ხედავს? შენგან შესატყვის პასუხს,
მაინც ცდილობს. დარდობს შენზე, მტერია.
შავი ნისლი აღარ აბრკობს გოლიათს.
გულით ცდილობს გზა გინათოს, ჩვენია,
ბოროტი ხარ? თუ შეგატყო, იდარდებს,
თუ ქვეყანას აუშნოებს, ივარგებს?!
საქართველო ხელს არავის არა ჰკრავს.
ღრმად ირწმუნე სხვისი ცუდი არა სწადს.
შენით წახველ? გაიხსენე კეთილად.
რაღად გინდა თქმა იმისა, მეწყინა.
სხვაგან ბევრი მე მინახავს წასული.
მერე უთქვამთ, ჩვენ ვართ მართლაც ასულნი.
იქ თუ იყო რაღაც ცოტა... ხანდახან.
აქ რა ხდება? რამდენჯერმე გაავდრდა.
საქართველო განა მარტო მთებია,
საქართველო არწივთ სამყოფელია.

1989 წ.

# სიმღერა

მე სიმღერა მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს ვღიღინებდე:
გულით, სულით გადმოვცემდე
რაც სწორია — შენთვის მეკვლე.

არც გეწყინოს შინაარსი,
კაცის გული სხვა გვარია.
უთქმელობაც არ გამოდის,
მიხო ხარ თუ... ვარლამია?!

თქვენ თვითონ, რომ აზროვნებდეთ,
რა საქმეში რა ჯობია;
ანდა ისე იქცეოდეთ,
ვერ იფიქრონ — თვითმარქვია,

მაშინ რაღა მიჭირდა — მე.
მთლად სხვა გვარად ვიმღერებდი:
აბა ბიჭო, მიხოია, ბონდოია, ვარლამია,
იცეკვეთ და იხტუნავეთ — რა კაია, რა კაია.

მე სიმღერა მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს ვღიღინებდე.
მეტს რომ გაწკენდე. მეტს გახვდენდე:
ოჰ! კარგი მეკვლე, რა კარგია!

1989 წ.

# ფიქრებში

„მე რომ გორილი მინდოდეს
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?
ერთი იციანის, სხვა გორის
ასეთი არის ქვეყანა“
ვაჟა ფშაველა

დრო ჩქარობს, დროა ვიჩქაროთ.
ბევრი მაქვს მოსაგონარი.
ქვეყანას ციდან დასცქერის...
ჩვენ იმედი გვაქვს ნეტარის?!

კარგია ადათ-ჩვევებზე დგომა,
და წინაპრებზე დაყრდნობა.
და თუ ახალი ვარსკვლავთ არ გვჯერა, არ ველით,
ფუჭია ზედმეტი წუხილიც და ბჭობა უდარდელიც.

ამბობენ, ბუნებაც შეიცვალაო.
მზეც ახლებურად ამოდის.
ქარი ქარს არ ჰგავს მოამბეს,
წვიმაც კი წარსულივით არ მოდის.
რაშია საქმე, მაშ რა ვქნათ?!
ბუნება გვასწრებს? ჩვენ ჩამოვრჩით?!
ეგება ჩვენვე ვართ მიზეზი ამის ყოველის.
ან ტალღა მოდის ახალი, განვითარების, მოვლენის...

დროა! უმჯობესად შეფასების ყოველის.
ეს თავისთავად არ მოდის, ნუ მოველით.
შთაგონების, კაცთ სიყვარულის, ერთობის თუ თავისუფლების...
ვაჟას სიტყვების, რუსთაველის... განვითარების თუ მოვლენის...

ესა ვიკმაროთ ამჯერად,
ოდესმე ისევ შევხვდებით.
გემშვიდობებით. მე მგონი.
კიდევაც დაგიბრუნდებით.

1988 წ.

## აბა რა ვქნათ?..

მე რომ წლებში დავიბადე, მძიმე იყო ქარიშხალი.
ომის ჭრილობებს იშუშებდა, დედა-მიწა, მთა და ბარი.
ხალხი შავში შემოსილი, ნაძარცვი და ნახიშგარი...
იქეთ ნათელს შესწრაფვოდა, იმედია კაცის თვალი.

ბევრ რამეში წინსვლა იყო, სანუკვარი, საოცარი...
ხალხმა ძალაც მოიკრიბა, კიდევ ყავდათ საფიცარი.
შემდეგ მოხდა თაობათა ცვლა, ბევრს ეგონა ოხ, ეგ არი...
თურმე ქვეყნის დაქცევისა, იქ იწყება ის საზღვარი...

მთელი რიგი გარდაქმნების უცებ მოხდა, თანაც როგორ...
ბევრი კიდევ იქვე მიხვდა, არ ექნება კარგი ბოლო.
თუმცა იგი იძულებით, მაინც იქნა გადამდგარი.
მარა, როგორც ეხლა წერენ, ადრე ყოფილან შემცდარნი.

აბა მაშინ რაღა ექნათ? კითხულობენ კაცი, ქალი.
ეს გარდაქმნა საჭიროა, მარა ვაი ჩვენი ბრალი...
ვალებს ვალი ემატება, აქეთ ვალი, იქით ვალი.
ბრეჟნევობა არ მოსწონდათ — დინჯი არის ნამეტანი.
ხრუშჩოვობა რომ დამთავრდა, კი ამბობდნენ კარგი არი.
არც ეხლანდელი მოსწონთ — რბილი არის ნამეტანი.
აბა რა ვქნათ, რა ვიღონოთ, თუ კაცი ხარ, ეგ მითხარი.

1989 წ.

## ბათუმს

თეთრი ქალაქის,
თეთრი არწივის -
ბათუმის ნახვით
თვალები გარბის.
მსოფლიოს მრავალ ქალაქს წააგავს.
ის მაინც არის სხვა სილამაზის.
მეტი სიცოცხლით, მეტი ელფერით.
სიტყვა-პასუხით, შრომით, ლაზათით.
გონებით, გრძნობით და ვაჟკაცობით,
შავი ზღვის პირის დედაქალაქი.
აურაცხელი რამის მნახველი.
გამკეთებელი, ხელის წამკვრელი.
კარგის და ცუდის შემფასებელი.
ხალხის საოცრად პატივმცემელი.
ბათუმი მაღლივ მუდამ იქნება.
ბათუმი ღრუბელს არ უშინდება.
წარმოიდგინეთ თუ რა იქნება.
სიამაყეც, რომ ძლიერ უხდება.

1989 წ.

## გავხედე წარსულს

გავხედე წარსულს,
დავღონდი მწარედ.
გული მეტკინა,
განა შიშისგან.
რამდენი დამრჩა
კიდევ სიცოცხლე,
ამაზე ვფიცავ
აღარ მიფიქრავს.

მე დამალონა, ჩვენმა
ცოდვა-ყოფამ.
უმიზნოდ შფოთვამ,
ბოდვამ, შიმშილმა...
მაშინ უფრო მივხვდი,
ვაი როგორ ვცდებით.
არა სჯობია? რომ
ეხლა მაინც
ავირჩიოთ,
სწორი გზა.

1989 წ.

## ოცნება

„სალამი, შეილო ჩვენი ქვეყნისა.
განა ეს არის პატიოსნება?
რომ ჩვენი გემო სამშობლოს გარეთ,
გადაგავიწყა სხვათა ფრთოსნებმა."
ჰაინრიხ ჰაინე

ყოველი წუთი ძვირფასია შენს მიწა-წყალზე.
თუნდაც ბევრი რამე გქონდეს კვლავ მოკლებული.
მაგრამ სხვა ქვეყნად ყოფნა დედამიწაზე,
რად უნდა იყოს ვინმესაგან შეგინებული?!

საქმე ის არის, რომ შენ ყოველივე,
სწორად აღიქვა, შეისწავლო, განავითარო.
სადმე ნახული, თუ გაგონილი ისე იწამო...
რომ დედამიწის ყველა უბანს მიუსადაგო.

არ დავიწყება შენი მშობლისა.
რაგინდ დიდებით იყო მოსილი.

იცოდე ამას შენი მტერიც კი,
სიმხდალედ, ურჯულობად, ისე ჩაგითვლის.

ყოფა-ცხოვრება? სადაც გინდოდეს.
შენს გულს უნდოდეს და ის გიშვებდეს.
ოღონდ გამოიყენე ყოველი წუთი, აკეთე მეტი.
იცოდე ისევ არასოდეს აღმოცენდები.

ყოველი წუთი ძვირფასია შენს მიწა-წყალზე.
თუნდაც ბევრი რამე გქონდეს კვლავ მოკლებული.
ოჰ! ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი მე ვიქნებოდი.
რომ ყველას ერთი სამშობლო გვქონდეს დედამიწაზე.

1989 წ.

## დაბრუნება

„კარგი ხალხია ქრისტიანები
მათ სადილებზე ლხინი დიდია.
თამასუქებს რომ გაუდის ვადა
საათით ადრე შეისყიდიან.“
ჰაინრიხ ჰაინე

მე მივატოვე ეხლა ნადიმი,
შენს გულის ხმაზე, ჩემო მალხაზო.
(მითხარი) რა მოგივიდა, როდის ჩამოდი
რაზედ მომიხმე შენ, ჩემო დარდო.

გამახსენდება მე შენი ყრმობა.
ოდეს დავრჩები ფიქრებთან მარტო.
არა, არ იყო მოულოდნელი
შენ რომ ვარსკვლავებს შესწრაფვი მარტო.

წამოდი, ეხლა ერთად ვილხინოთ.
სულ ჩვენებია, ცოტაა უცხო.
შენზე ოცნებით გულს მოხეულნი,
შენს მომავალზე სულ ყველა დარდობს.

ოი ... მალხაზო, ჩვენო მალხაზო.
როდის ჩამოდი? რად ასე გვიან?!
შენს მოლოდინში გავჭაღარავდით.
წლები ხომ იცი გარბიან როგორ.

აგერ სტუმრებსაც გაგაცნობთ ეხლა.
ე!.. შემოგვხედეთ, გაგვიწყვეთ სუფრა.
ჩვენ ხომ (ქართველებმა) ქეიფი არ ვიცით მარტო.
გვექნება მთელი ფილოსოფია.

1989 წ.

## ლოცვა ვედრება

ღმერთო! ღმერთო! დიდებულო, ქვეყნის დამამშვენებელო.
შეისმინე ჩემი თხოვნა, შემიწყალე, მომეხმარე.
არც ლაჩარი ვარ, არც გთხოვ პირფერულად.
მინდა დრო მომცე, მოვკვდე ვალმოხდილად.

უთქმელი მაქვს ბევრი რამე, სასარგებლო, სასიკეთო.
დამიცავი ცუდისაგან, ბოროტი და მტერისაგან.
მაგრძნობინე მე წინასწარ მისი ელდა მუხანათი.
გამითენე ყველა დილა, ნათელი და შემოქმედი.

ყველას უნდა პატრონობა, ცუდსა კარგთან, კარგს კი
ცუდთან.

დაიცავი ყოველივე გლეჯვისა და ძარცვისაგან.
მოარიდე ქარიშხალსა, უფრო მეტად დარდისაგან.
ნუ შეუწყვეტ სიხარულსა, შეუმოკლე დარდი მეტად.
გევედრები, ყოვლის შემძლევ, ნუ დასტოვებ ვინმეს კენტად.

1989 წ.

## სოფლის დილა

აწკრიალდნენ მერცხლები,
აქღურტულდნენ ჩიტები...
კაკლის, ალუბლის თუ ვაშლის ხემ...
გაიღვიძეს ფიქრებში.
სერი თეთრად შეიცვალა.
ბინდი გაქრა სივრცეში.
მზის ზემოთ ამოწევით
ნადირი შეკრთა უხეში.
მამლების ყივილთან ერთად,
ახმიანდა სოფელიც.
დილის სიკეთის შეთვისებას
ცდილობს ყოველი მშრომელი.
მერე მზემ ისევ აიწია.
გადიშალა ღრუბელიც.
მშვენიერი დილა იყო.
ყვაოდა, ილხენდა სოფელი.

1989 წ.

## მურია!

ჩვენ ხომ სწავლა გვწყურია,
ჩვენო კარგო მურიავ.
მიტომ მივალთ სკოლაში
შემოგვყურებ — წუნიავ.

ჩვენ დედიკოს გავახარებთ
კარგი სწავლით, მოქცევით.
მის შრომას და ამაგს,
მეტად მოვუფრთხილდებით.

საღამოს სკოლიდან რომ მოვალთ,
ეზოს მწყემსო მურიავ.
კარგ ნიშნებს გახარებთ.
კუდს რომ აქნევ, ხტუნიავ.

აბა, კარგად მურიავ.
შენც ხომ შრომა გწყურია.
სახლ-კარს ყური დაუგდე,
ნუ მოიწყენ, ცუდია.

1989 წ.

## ღმერთი თუ გწამს

ღმერთი მეც მწამს.
დღის სინათლეს ვფიცავ.
სული წმინდად
შევინახო მინდა.
ჩემი ქვეყნის ამაღლების ფიქრში,
განა ისე, მეშინოდეს რისა?!
ვებრძვი ბოროტს, არ ვპირფერობ, არა...
სხვისი ლხენა გულს მიხარებს დიდად.
ღმერთი მეც მწამს,
ნუ გგონივარ ისა...
ღმერთი თუ გწამს,
მეტ სიკეთეს სთესავ.
მეტი გინდა შენ

მოსთხოვო შენს თავს...
მწუხარებას გული ვეღარ იტანს!
ლახვარსა სცემს უბრწყინვალეს მიზანს.
ღმერთი თუ გწამს, გონს მოუხმე, ბიძავ!

1989 წ.

## ქრისტე აღსდგა

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად!
ნათელსა ჰფენს ცას და მიწას.
ქრისტე გვშველის,
ქრისტე გვიცავს,
ნათელს აფენს დედამიწას.

ჩვენი „აღდგომისა" რა ვთქვათ
ნათელო, მართლმოყვარეო.
სპეტაკო, ჩვენთვის ჯვარცმულო.
შესანდო შეგვიწყალეო.

იმედად გვქონდა მომავალთ -
ნახვა ნათლისა მცხებისა.
ჩვენივე თვალით გვენახა —
ქება მართლისა მთესვლისა.
ჩვენ ხომ „იგავად" გვსმენია,
თქვენი აღდგომის ბედისა.

1991 წ.

## ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ!

დიდება, დედავ!
დიდება, მიწავ!
დიდება მარად!
ჩემო ქვეყანავ!

მშვენება შენა,
სიცოცხლე შენა.
არის სხვაგანაც
სიცოცხლე, მჯერა.

იქაც ამბობენ
დიდება შენდა.
მაშ, მითუმეტეს.
ვიყოთ სულ ერთად.

თავისუფლება.
შრომა და გარჯა.
მუდამ გვქონოდეს,
როგორც მოლხენა.

დიდება, დედავ.
დიდება, მიწავ.
სამშობლოვ, ჩემო,
ახალშენება.

დიდება, მზეო.
მუდამ გვანათე.
ჩვენ უნდა შევქმნათ
ერთი სისტემა.

1989 წ.

# რა ყოფილა ეს საქართველო

რა ყოფილა ეს საქართველო!,
სუყველა მის ნაყოფს ნატრობს.
ფუტკრები მაინც ყოფილიყვნენ,
რა გვექნებოდა მაშინ სადარდო.
რა ყოფილა ეს საქართველო -
ჩამოსული ამბობს.
საქმით თავს არ შეიწუხებს.
არც რაიმეს დარდობს.
ოცდებიან ნანახავით.
უი, ეს რა? — ოდიდან?!
ცოტა ვინმე თუ კი იტყვის.
როგორ შესძლეს, რა ყოფილან!
ყველა დრო რომ კარგი არის.
ამ დალოცვილ მხარეში.
უფრო მეტი მიიღწევა,
თუ არ იქნა თარეში...
ძველით, ახლით, უახლესით,
რითაც გინდა კარგია.
ვფიქრობ, ალბათ მომავალით...
უფრო გაგვიხარია.
ჩამოსული მართლაც ტკბება.
ხალხით, მხარით, ნაკეთით...
ბევრს კი მართლა უხარია.
ბევრიც სკდება, ვახ ერთი.
აბა ღვინო, ხაჭაპური.
საცივი და ბაჟე.
თან მწვანილი, ჩაშუშული,
მიდი, ჭამე, ყლაპე.
პურმარილი რომ იციან,
დიდ-პატარა ილხენს.
მერე კიდევ გამღერიან,

ქართველებად ვიქნეთ.
რა ყოფილა საქართველო!,
სიკეთის და ძმობის ბუდე.
რას არ იტანს ვის არ უთმენს,
უკეთ ყველგან იყვნენ.

1989 წ.

## მესმის შენი, მე კი მესმის

თვალუწვდენელ არემარეს,
ბრძოლის ქინი თავს დაატყდა.
დამშვიდების გრძნობა ერთობ,
ფიფქებივით გაღნა, გაჰქრა.

მესმის შენი, მე კი მესმის.
მარტო შფოთვა განა კმარა.
მარა ხედავ? ჩემო პეტრევ!
მშვიდად ყოფნამ რად გაგვხადა.

დამშვიდდიო, მეუბნები.
შენ ვერ ხედავ აქ რა ხდება?!
კაცი პატრონს ვეღარა სცნობს.
სიმართლეზე ფიქრი ძნელად.

რისთვის იყო ეს ბრძოლები?!
დარჩეს რაც კი იყო ძველად?
იმისათვის, ჩემო პეტრევ,
მექრთამეს რომ გაეხარა?

მერე სანამ, ჩემო ძმაო.
მსოფლიო რომ ელავს, ხედავ?!
შენ კი შენი ლოზუნგებით,
არ მოიშლი უკან დევნას?

მერე სანამ, ჩემო კარგო.
მსოფლიო რომ ცისკენ წავა?!
შენ კი შენი ლოზუნგებით,
დაუწყებ მას ჩექმის წმენდას.

მესმის შენი, მე კი მესმის.
მარტო შფოთვა განა კმარა?
მარა ჩვენიც რომ არ გესმის,
აქამდე მან მიგვიყვანა.

1989 წ.

## ასე ვფიქრობ

არ ვპოეტობ.
არც ვთამაშობ.
პოეტუნა მე
არ მქვია.
და არც ისეთი
ვარ, დამიძახონ.
ვინ ყოფილა ეს
თვითმარქვია.
მაშინ ხელსაც
არ მოვკიდებდი.
ასეთ საქმეს.
თანაც გვიან.
ცოტა იყოს, კარგი იყოს.
ეს კანონი — მუდმივია.
მარა თუ კი მიუმატებ.
განა გაწყენს ან გიშლიან?
ვინ რას ელტვის, ის აკეთოს.
ასე ვფიქრობ, ეს მითქვია.
და არა ისე ზოგი რომ ამბობს, —

შენი საქმეს მიხედე ჩემო ბიძია.
უზნეოა ეს ლაპარაკი.
ბოღმით, შურით ავსილია.
თუკი კაცი კეთილსა სთესს,
რა სინდისით დაგიშლია?!

1989 წ.

## ᲚᲔᲥᲡᲖᲔ (პოეტზე)

ლექსს ბევრი წერს.
თუმცაღა, ყველას აქვს
თავისი მიზანი.
საერთო მაინც კი ისაა
თუ როგორ იგრძნობს
მას გული. ის არი?!
პოეტი ვალში არ არის.
არც ხალხი არის მევალე,
თუკი შემხვედრი ქმედებით
ვარდებით იფინება არემარე.
პოეტი ფრთებს ასხამს სიმართლეს.
ის აღარ არჩევს ვინ ვინ არს.
თავისი აზრით და გონებით ცდილობს
თავზარი დასცეს არაკაცს.
მე კი პირადად დიდ ბედსა ვგრძნობ,
პოეტობა რომ მხვდა წილად.
ამით მე მგონი სამსახური
ხალხისადმი შემივსია უფრო მეტად.

1989 წ.

## მიმღერე, ბიჭო, რამე!

მიმღერე, ბიჭო არსენ! მიმღერე შვილო რამე!
ხმა ამიოღე, გული გამიხსენ, მიშველე მალე.
გული მისკდება — დარდით, ვიხრჩობი ბოღმით, მომეხმარე.
რამე რომ მომივიდეს, ბიჭო, მერე ხომ იდარდებ?!
ვაი! ჩქარა, არსენ წყალი მომიტანე!
იქ თაროზე წამალი დევს, დამალევინე.
ნუ შეშინდი, რას ფხაკურობ, წამომაყენე.
აი მომეცი ესა, წყალიც — ყლუპ... მასე, ასე...
არსენ! იცოდე ბიჭო, რომ მომივიდეს კიდევაც რამე.
ზედმეტად ნუ მიდარდებ. ცრემლი შეიმშრალე მალე.
მიდი ეხლა ის გიტარა ხელში აიღე.
და არწივებზე სიმღერა რომ იცი, ის დაამღერე.
ბიჭო არსენ! კარგია. მიდი ნუ შეაჩერე.
გულმა სითბო იგრძნო, მოეშვა ბევრი რამე.
ეხ! რა არ გამივლია ამ უსამართლო ქვეყანაზე.
რამდენი მიშრომია, მაგრამ გიფასებს ვინმე რამეს?!

1989 წ.

## აგარაკი

აგარაკი მიტომ მინდა,
ცოტა დავისვენო.
გაზების და მტვრის ნასუნთქმა
გული გავიმრთელო.
მაინც რას გავს, ეს რა არის.
რაც ქალაქში ხდება.
ასეთი გამონაბოლქვი აირებით
ტრანსპორტის მოძრაობა შეიძლება?!
აგარაკი მერე სად მაქვს.
ეს იმათ აქვთ და დადიან.

ერთ ადგილზე მოსწყინდებათ,
მეორეზე გარბიან.
ბევრი კიდევ კარტს თამაშობს.
„ნაჩალნიკი“ ჰქვია.
მერე ზარი მოუნდება,
კარტი რას მიქვია.
ეს კი იქეთ დაცდილი მაქვს
კარგს ვაგორებ, გია.
აბა ჩქარა, ჩემო მძღოლო,
გამაქროლე, ძიავ!

1989 წ.

## მადლობელი ვარ მე ღმერთის მაინც

სიხარული კარგია.
მწუხარება — დარდი.
და თუ ზოგჯერ შემხვდება,
გულისცემა ნელდება.

მერე რაღა ვქნა, ჩემო დათუნა.
თუ ღმერთმა ასეთი ბედი მარგუნა.
ცუდს ველარ ვიტან და რომ შევიტყობ,
მე ძლივსღა ვსუნთქავ, გავთეთრდი, ბიჭო.

ყველასთან კარგად მე კი ვარ, დათო.
სიკეთე მათი მახარებს, ვილხენ.
და რომ გავიგებ რამე ცუდს, ისეთს.
ტანში დამჟრჟოლავს და მაკანკალებს.

მადლობელი ვარ მე ღმერთის მაინც,
რომ სხვისი ცუდი აღარ მახარებს.
რომ იმ კაცივით, სოსო, არა ვარ
სხვისი უკან სვლა, რომ ახარხარებს.

მადლობელი ვარ მე ღმერთის მაინც,
რომ ერთი ქალივით არა ვარ მიხო.
იმას წარმატებები სხვების წნევას უმატებს.
გულს აუჩქარებს — სხვამ თუ გაუსწრო.

1989 წ.

## ნუ შიშობ!

ნუ შიშობ, ქალო!
გული გაიმაგრე.
რა მოგივიდა, შენც
და სხვებიც ასე დაიბადნენ.

სიკეთე მოგაქვს და სიხარული.
უნდა მოავლინო ქვეყანაზე — ის ჩინებული,
რომელსაც ვერ შეედრება — ნაყოფი ვერაფრისა.
ასეთია ქალის ხვედრი, ჩემო კარგო ასეთი.
ჩვენ კაცები თქვენგან კი ვართ დავალებული.

აი გაისმა უცებ ბავშვის ტირილი — ვით ჭექა-ქუხილი!
ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი — სიცოცხლე და სიყვარული.

1989 წ.

## დათუნია

უენო არის ჩვენი დათუნა,
კეთილი გულის, თაფლის მოყვარე.
მარა ჯიუტი ეს ყურუმსაღი.
სასიყვარულო მაინც — ონოფრე.

რადგანაც ვიცი, ტყუილს არ მეტყვის,
და არც ცილს ის მე დამწამებს რამეს.
გულიც მიმიწევს მისთვის ვიშრომო.
სანამ ისევ პატარაა, იყოს ჩემთან სახლში,
ვთქვი, — ერთი „პატიოსანი“ ვინმე ხომ მეც
გავზარდე.

როს გაიზარდა დიდი, ამაღლდა.
სახლში ცუნდრუკი როდი იკადრა.
პირდაპირ ისე ვერაფერი მკადრა,
მაგრამ გაბრაზებული ზოგჯერ
ტორებს კი წამკრავდა.
ავდექ და ტყეში გაუშვი მე იგი.
აბა რა მექნა, ვისთვის მეკითხა?!
იგი სიცოცხლესაც კი მერჩივნა,
მაგრამ მისი ბედისაც მომერიდა.

გავიდა წლები, იგი არ ჩანდა.
მე კი ვნაღვლობდი, ალბათ აღარც არის.
და როს ზამთარში მე ვნადირობდი,
თვალწინ უეცრად წინ არ აღიმართა?!
მე შემეშინდა, მართალი გითხრათ,
ვერც შევიცანი და ამით მეტადა.
თოფის სასროლად მაინც ვერ გავიმეტე.
და იქვე გავგორდი მყისვე, სწრაფადა.
დათვები მკვდარ კაცს ხომ არ ერჩიან
ეგება ამით გადავრჩები ალბათ თქვა.

მაშინვე ჩემს წინ დაიხარა.
თოვლის ფიფქები შემომაყარა.
ენა იმღენი მისვა, რომ ვიფიქრე, —
რა მაშინებს, სამტროდ არ არის აქა.

რომ გავინძერი, ვცადე ადგომა,
მან დაიწია უკან-უკან ფრთხილად.
დარწმუნებულმა, ვიყავი კარგად.
სულ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ჩემგან.

1989 წ.

## ანტონს!

ეხ! მარტო დავრჩი, ჩემო ანტონ!
არვინ მიხმობს არცა ვინ მდარდობს.
აქეთ ჩემთან ხომ არ მოდიან.
იქეთ მაინც დამიძახონ?!
ჩემო ანტონ, ჩემო ძმაო!
დამივიწყა ჩვენმა ნატომ.
აღარც წერილს იწერება,
ხომ არ იცი არის როგორ?
მეც მოვხუცდი, ჩემო ანტონ.
80-სა გავხდი აგერა ხომ.
მახსოვს შენი ხმა კეთილი,
რომ მითხარი სადღეგრძელო.
ანტონ! ჩემო შვილო, ანტონ!
შენი გაცნობით მე ვარსებობ.
მაშინ სტუმრად რომ მოჰყევი.
ჩემს საყვარელ დას ნატოს.
მიდი ხმა მიაწვდინე.
ამას მე ძალიან გთხოვ.
მე თვითონვე მოვიდოდი,
მაგრამ ცხოვრობთ ჩემგან შორს.
მე მივწერო? მეშინია.
ამით ეგება შევაშინო.
შენ უთხარი, მოდი ერთხელ
შევუაროთ იმ ჩვენს ანტონს?

არა და თავს ცუდადა ვგრძნობ.
მაქვს რა უამბო ჩემს დაიკოს.
თანაც კიდევ მეშინია, ვაი რომ
მისი ნახვა ვერც მოვასწრო.
აბა, ანტონ, ჩემო ანტონ!
უნახავად არ დამტოვოთ.
ბიჭო სანამ წამოხვიდოდეთ,
ეგება წერილიც გამოგზავნოთ?

1989 წ.

## მე ხომ დავცალე

მე ხომ დავცალე,
ეხლა თქვენც დალევთ.
სიტყვა გვითხარით,
არ დაგაძალებთ:

რომ თქვენ შორიდან
აღარ იძახებთ -
სამშობლოს მთებო,
თქვენ გენაცვალეთ.

## ზოგიერთ მთამსვლელს

კლდის წვერზე ასვლას კი
თქვენ ესწრაფვით ყველა:
ოხ, ეს არის სილამაზე
ოხ, ეს არის ღელვა.

ღრუბლები რომ ციდან მიდიან
გული ზოგის კვდება.

მაშინ ხომ ველარ იტყვის
ცასაც მივწვდი, ხედავ?!

ერთი მხარეს ისევ კლდეა,
მეორეზე - შენა.

## როცა

როცა ცაზე მზე იელვებს
და ჩუხჩუხი ისმის წყაროს.
მთას და ველებს მობიბინეთ
სიო ეტყვის, აგერ ვარო:
მინდა ცოტა რომ შეგაკრთო.
მინდა მე რომ მოგეხმარო.
შენ რომ ჩემით მეტი შესძლო.
არემარეს მეტი არგო.
მაშინ კაცი შენ თუ გქვია
არ იქნება, ვერ ივარგო.

## სიმშვიდეა

სიმშვიდეა კაცის სული.
გულში ჰქონდეს გინდ ისარი.
სიმშვიდეა მტარვალის და
ბოროტების შემმუსრავი.

## როგორ დავჭრილვარ

ო, ღმერთო ჩემო,
როგორ დავჭრილვარ!
სისხლი როგორ მდის.

ვაჰ, რისგან ნეტავ?!
თურმე ბრძოლებში
ისე გავერთულვარ,
ვეღარ ვამჩნევდი
ხმალს, ისარს — მტრისას.

## გულო, რად შეკრთი?

გულო, რად შეკრთი?!
რად ღელავ, შენ რა გწყურია?
ძალა, აღმართი შენ ვერ
შეგაშინებს, ეგ ტყუილია.
ზედმეტი ფიქრით,
ვინმეს ღალატით,
ჭორით, არა გზით...
ო, ეგ სამწუხაროა.
თანაც ხშირია.

## მზეო ამოხვალ?!

მზეო, ამოხვალ?
როდის გვიშველი?!
ღრუბლები გვიშლის
ჩვენ ნეტარებას.

შენ რომ ზემოთ ხარ
თუნდ აღარ ჩანდე,
იმედი გვიხმობს
და გვეხმარება.

## შემაკრთო

ალმაგზნო მზერამ
შემოქმედისამ.
ალმავსო შფოთვით.
სული შემიბრა.
მერე შემაკრთო:
ო, რა დაბლა ვარ.
რა შორს წასულა.
სად აწეულა.
მე კი ვჩანჩალებ
სულ უკან-უკან.

## ვერ აიტანა

ცის ქვეშ მყოფთათვის,
ასე მგონია,
არ არის ცოდვა
იმაზე მეტი,
რაც იუდასი.
სულის წაწყდომა,
და ვერაგობა
ვერ აიტანა
თვითონვე იმან —
თავის ჩამოხრჩობით
იგრძნო მან შვება.

## ისევ იმედი

მხოლოდ ერთია
კაცის მმოსავი.
მხოლოდ ერთია
ის ცხენოსანი.

მალამო სულის.
მისი მკვებავი.
მხოლოდ ის არის,
ის მხნე მხედარი.

თუგინდ შიშველი
და უმეცარი.
ო, იმედია ის
საოცარი.

## აჰა!

აჰა, მგონი
ვიხილე ის,
კალთა მთისა.
ის მწვერვალი, ისა!

არ დავღლილვარ მე.
ამდენი სვლით,
ამდენი გზისგან.
ზღვა, ხმელეთი
გადავიარე,
არა უბრალოდ,
არა უკვალოდ,
არა ტყუილად.

მინდა ვანუგეშო
ის უბედური.
ის უბოროტო.
მაგრამ თანამონაწილე
განჯვისა ღვთისა...
(ის გოლგოთა, ისა)!

## ეჰეი!

მდინარეს გადალახვას
თუ ფიქრობ,
რატომ გაქვს
ყალიონი პირში?

ადექ და ყიჟინით
შესძახე, ეჰეი!
ვინა ხართ მანდ
ჩვენი მხარის?!

## ნაპოლეონ!

ნაპოლეონ!
შენ გინდოდა
გაგემარჯვა მსოფლიოზე?!
ეჰეი, ეს მე ვარ მხედარი -
ცად აფრენილი, მედგარი.
გუგუნებს მთებიც, -
ნაპოლეონ!
ყველა შენთან არის...

ბედი გქონდა მაინც,
ნაპოლეონ.
ნიჭიც საკმაო, მაგრამ
ვერ შეიცან შენ:

ვინ რას გირჩევდა.
ვინ შენთან არის.
და ამიტომაც იყო რომ
მიზანი შენი, ვერ შეამკო
გვირგვინმა დაფნის.

ოცნება კი დაიმსხვრა
ვითარცა სვეტი,
აღმართული მინის ქილებით.

## სად არის...

სად არის ის...
ჩვენთა ძველთა სვლა.
ის მატიანე?!
ო, ჩქარა მითხარ.
სუნთქვა მეკვრება.
რად იგვიანებს?!
არ ვარგა! არა!
უმისოდ არ გამოვა აღარაფერი.
თუგინდ ვიქცეთ ჩვენ
ბრძენთა სამეფოდ.

## მეშჩანებს

მეშჩანად ყოფნას
გირჩევნოდეს
ისევ სიკვდილი.
მეშჩანის სულით
შენ ხომ ობსა სდებ
მთელსა ქვეყანას.

## იყავით ჩვენთან

ჩემი რწმენა,
ჩემი იმედი,
ჩემი ზურმუხტი...
მაინც სიკეთეა.

კეთილთა გუნდი.
და მინდა იყოს,
დღისით თუ ღამით
დიდება შენდა, ღმერთო.

შენი სახელის ჭირიმე.
ამის ძახილით:
მომავალშიც
იყავით ჩვენთან —
ჩვენ საქმისა გვჯერა.

## ჩქარა, ჩქარა

გათენდა თითქოს.
კვლავ ღიღინებს
გარმონი... ლაღად.
სადღაც შორიდან
ისევ გაისმის
„ოვ ნანა“ (დილაო, ოვ ნანა).
ქარი ჩურჩულებს,
ფარდას არხევს.
თითქოს ხელს მიქნევს.
ეჰეი! არ გესმის?!
ჩქარა, ჩქარა...

## ეს გზა?

შენ მეუბნები
გზა ამერია?!
მასე გგონია,
თუ გრძნობ

სწორია.
ეს გზა სად მიდის?!
რისი მგონია?
ერთი გავიგო
თვით როგორია:
ჩემგან სწავლობს გზას,
თუ უფრო მეტიც,
ის, ბოროტია.

## ნუ გამაწვალებ

მე მოვიღალე?
ნუთუ ლოდინი
ასე მემჩნევა,
ასე მატყვია.
ჩემთვის ნასროლი
ის ტყვია ცხელი
შენ ამაცილე.
მიცნობ ნატყვიარს?!
მე წამოვდექი.
ფრთებმა მიშველა.
ქარი რომ ანგრევს
ყველაფერს, ხედავ?!
ნუ გამაწვალებ.
გიჯობს იცოდე...
არწივები ასე
არა კვდებიან!

## არ გირჩევნია?

რად გინდა მარტო
ქება-დიდება.
ცამდე ასული

ოქრო ხიდებად.
თუკი შეხედვა
შენ წარმოგიდგენს
ტანჯულთა სურათს...
ათას ობოლთა, -
გერჩივნა სულაც,
რომ შენც გეშრომა.
ქრთამი, ნაძარცვი
მორს მოგესროლა.
უთუოდ ჯობდა.
ჩემო ეფრემა...
ტანჯულთა ცრემლიც
არ დაგახრჩობდა.

## ადამიანი

ეს არის ადამიანი?!
ეს არის ის... ვის სულშიც
სინდისი, ნამუსი
მეტი ნდობა,
პატიოსნება, ერთგულება
აღარ არსებობს?!
არა, არ მჯერა!
და თუ ასეა
მაშინ ის იდეალები
ის ოცნებები, ის ფიქრები,
რომლის ფრთებშესხმა
ამ ხალხით თქვენ
გწადიათ,
დროა გადაიფიქროთ.

## სიბერე

სიბერე განა
მართლა საშიშია.
თუკი შენ დრო
მუქთად არ გაგიშვია.
თუკი ხვდებოდი,
ვინ რა ჯიშია.
როდის რა გეკეთა.
ვისთვის რა მიგიცია.
რისთვის ცხოვრობდი,
კარგად გიფიქრია.
და ბოლოს, კი
როცა სიბერემ გიწია,
ვინმეს ეთქვას:
ჰქონდა იმ კაცს
სინდისი, ბიძია.

## ფუტკარს

ფუტკარო, ოქროს ფრთიანო,
ვინ შეგედრება შრომაში.
შენ ბზუილს ვისმენ, ვხალისობ
ტანთ ქრუანტელი დამივლის.
ვიცი რომ ამ დროს ბეჯითად
ვიღაცისთვის, რაღაცისთვის მიილტვი.

## კურდღელი

კურდღელი კი ვარ, მარა,
ვერაფერს დამაკლებ, ვერა.

თუკი ვიქნები ჭკვიანად
და ვიმოქმედებ შესაფერად.

## მელა

ტყუილად კი არა ვარ მელა,
მაგი, შენს თავს დააბრალე.
მე რა.

## ბორჯომი

ბორჯომი მარტო წყალია?!
წადი და ნახე რა მხარეა.

## ფული

ფულია სუყველაფერი,
ამბობენ ამას ძველთაგან.
ამიტომაა ასე ვართ,
წინ ვერ წავედით მეტადა.

## მეცნიერი

მეცნიერი კაცი კარგია, მარა
თუმცა ბევრს ფიქრობს ძალიან.
მიღწევებიც რომ არ ჰქონდეს
ბოროტებისთვის ხომ არ სცალია?

## სოფელი

ქალაქში თუ ხარ, უსოფლოდ
ძალიან ძნელია ცხოვრება.
დარჩები ისე პირღიად,

ამ მაღაზიებითა და ბაზრითა.
ეხლა სოფლელებმაც დაიწყეს,
ჩვენ რა, ქალაქი არ გვინდა?!

## მერე

ჩემი მეზობელი სილიბისტრო
სულ მერე და მერეს ძახილშია, –
„მერე რო შევხვდებით, მერე რო ნახავ...“
მე მაინც ვერ გავიგე, ბარემ მითხრას
მაშინ, იქ რომ წავალთ.

## მარწყვი

მარწყვი მართლაც და
დიდებული ხილია.
თუმცა ძალიან ძვირია.
მაგრამ პატრონს რომ ჰკითხო
ყოველთვის ერთს გეტყვის, –
დამიჯერეთ ბატონო,
შაქარზე ტკბილია.

## ექიმს

ექიმობა რომ გინდოდა, ბიძია...
უნდა გცოდნოდა, რომ ადამიანის
სიცოცხლე სულ ბეწვზე ჰკიდია.
ამ ფულებს რომ უხამხამებ აქ თვალებს.
პირველ რიგში მე
ჯანმრთელობა მჭირია.

1989 წ.

# უსათაური
# მოკლე ლექსები!

## რობაის სტილში



* * *

ადამიანები რომ ყველანი
ერთნაირები იყვნენ,
ეს არც შეიძლება და
არც ცხოვრებას ექნებოდა
მაშინ აზრი.
მარა ხშირად
მათი უაზრობა
რომ ქვეყანას
ელფერს უკარგავს,
ამაზე მომდის ბრაზი.

* * *

ჯამი მომეცი, ჯამი,
ღვინო ჩამოგისხა.
ეგება ხასიათზე მოხვიდე,
გული გაგეხსნას, ჩემო ძია.

* * *

ჭეშმარიტებას შენ მასე
ვერ იპოვი, ვერა.
ანდა რად გინდა...
თუ კი არ იცი მისი შეფასება.

* * *

სხვისი დარდი მაშინ გექნეს,
თუ გულს უნდა განკურნება.
აბა შენ თუ ლაღადა ხარ,
სხვისი ინტერესი გექნება,
აბა არ გექნება?

* * *

სევდა მაწევს გულზე, ხაიამო, სევდა!
ვერ მიდის საქმე კრგად, ჩემო ძამია.

ქარი, ავდარი აღმართს წამომეწია.
შენ გადმოგიღე თაროდან და ცოტა გული ამომეწია.

* * *

ჩვენ ამ ქვეყანაზე დროებითა ვართ, ბიჭო ბექან!
იჩქარე, ეგება ვიმარჯვოთ მეტად.
როგორ ხელად ჩავიდა მზე, დაღამდა, ხედავ?
ამას ვეუბნები მე ყველას, განა მარტო ჩემს თავს.

* * *

მთვარეო! შენც კი მიხვდი?!
რომ დღეები გვაქვს ცოტა?
ამოანათებ და დღეებს გვიხანგრძლივებ მეტად.
ესმის კი ეს უმრავლესობას, ნეტავ?!

* * *

თვალწარმტაცო! მომეცი ხელი!
რისთვის გამირბიხარ, რას შვრები.
შენგან სიცოცხლეს მოველი.
შენთვის მოვკვდები ისე, ვითომ არაფერი.

* * *

ო! მართლაც რომ ლამაზი აღნაგობისა ყოფილხართ.
ყოჩაღ! მე რომ თვალებს არ მოვუყტუებივარ.

* * *

ამაღამ შემოიარე.
მანქანით შემოიგრიალე.
ტვინი გადამიტრიალე.

* * *

ბაგე მომწონს გოგონების, ხაიამ!
მაგ ღვინოში ვერ გაგიცვლი, ძამიავ!

* * *

ნუ ენდობი ნურავის,
თუ არ იცი ვინ არის.

* * *

შენ კარგად იცი, ჩემო ვანო რომ
მე უბრძოლველად არ დავთმობ ამას.
ბრძოლაა, ბრძოლა წუთისოფელი,
თუ გინდა იყო მომპოვებელი.

* * *

საიდუმლოება უნდა იცოდე ვის გაანდო.
თუ არავის გაანდობ, კიდევ უკეთესი.

* * *

ვინც ამ ქვეყნიდან წავიდა,
არავინ დაბრუნებულა.
ალბათ ამიტომაა რომ
ხანგრძლივი ყოფნით
არავინ დაღონებულა.

* * *

თუ გაქვს პური,
იქონიე თავი მხიარული.
დანარჩენი თუ არ გექნება,
არა უშავს, ცოტა მოიცადე.

* * *

შენ, მეგობარო! ინიციატივას ხელიდან უშვებ?!
ნუ ჩქარობ, იცოდე, მერე ინანებ.

* * *

თავში ჭკუა თუ არა გაქვს,
ტყუილად ავსებ ყულაბას.

* * *

უშრომელი არ გინდოდეს არავისი არაფერი,
მერე შეგზარდება, ვისიც არ უნდა იყოს, ყველაფერი.

* * *

ღვინო წამალია ლხინისა,
მომგვარეა უდარდელი ძილისა.

* * *

პატივი ეცი პირველ რიგში მას,
ვინც ამ ქვეყნად მოგიყვანა.

* * *

ღვინოს დალევა რა მამაცობაა,
მისი შერგება კი ვაჟკაცობაა.

* * *

მთვრალო, არა გაქვს საქმე?!
წადი, თავს ადგილი მოუნახე.

* * *

თუ გინდა ძმაო სამოთხე,
აქ ნუ იქნები როგორც მთხლე.

* * *

მოდი, ქალო, რატომ მერიდები?!
ვერა ხედავ, როგორ ვირინდები?

* * *

განა შესძლებს კი ვინმე იმდენს,
რომ ქალის თხოვნას ცოტათი მაინც ვერ შეისმენს?

* * *

დალი დამალვა შენმა არ ყოფნამ,
ვერა გრძნობ ამდენს? ჩემო ანტოშა?!

* * *

მე არ მინდა ბევრი,
მინდა მხოლოდ ერთი,
მარად იყოს „ღმერთი“,
ჩემთვის ერთადერთი.

* * *

ლოცვა გეყოფა?!
თუკი არც საქმე იცი,
და არც... შენდობა?!

* * *

ხალხის მწყინს ხშირად...
რა არის, რა ხდება ასეთი?!
ერთმანეთს, რომ ვერ
გაუგეთ უკეთესად?!

* * *

მართალს ტყუილად რომ აქცევ,
ასე ქვეყანას დააქცევ.

* * *

ზედმეტია დარდი იმისა,
რასაც გაუარესება მოჰყვება მომავლისა.

* * *

სანამ გაქვს მარჯვენაში ძალა,
ამაყობ! კი ვარ, აბა არა?!

* * *

ეგოიზმი მტერია ბევრის,
ეგოიზმმა დაღუპა, ე! რამდენი.
ნუ შედრკები, იცოდე არ დამარცხდები.
ეგოიზმზე თუ არ დამყარდები.

* * *

შენა ხარ მაშინ კაცი; თუკი
შენი ცხოვრების წესი შეიძლება
იმდენად არც კი გახარებს,
რამდენადაც სამართლიანად გაამაყებს.

* * *

ფულისთვის ნუ იბრძოლებ.
იბრძოლე საქმისათვის, ნათელისათვის.

* * *

დროს ნუ დაკარგავ.
დროს გაუფრთხილდი,
ყოველთვის მეტად.
დროში თუ დაიწვი, მაშინ
შეიძლება, ჩაიფერფლო
სამუდამოდაც.

* * *

სამყაროს ჩვენ ვქმნით.
ჩვენა ვართ მისი წყარო.
აბა ვის აბრალებ ეხლა ამას...
ცუდად ვარო.

* * *

ობიექტურობა უნდა იყოს
შენი ცხოვრების წესი, ანბანი.
მხოლოდ ცხოვრებაა — ამგვარი.
ყოველივე დანარჩენი.კი —
მისი მაგვარი.

* * *

შემინდე, ღმერთო, მარტო იმიტომ,
რომ მეტად ვემსახურო კაცობრიობას.

* * *

სიკვდილი მე არ მაშინებს.
აბა ის რას შემაშინებს,
თუკი ვიცი, რომ ხალხში,
არ დავრჩენილვარ ვალში.

* * *

ბექან! სიცოცხლე კაია.
მარა მარტო სიცოცხლე რაია.
თუკი შენ არაფერი შემატე
თუნდაც ერთს მაინც ბაიას.

* * *

მე იმის გამო — ჩემო ანდრიავ!
ბედს არ ვემდური იმდენად.
არც ვინმეს მიმართ ვარ,
განწყობილი უნდობლად.

* * *

ღვინო, ქალები მაშინაა კარგი,
თუ არ გაქვს არაფრის დარდი.

* * *

არაფერი მინდა შენი,
ოღონდ მე ნუ შემეხები.

* * *

ქართველებს ბევრი აქვთ გულსატკივარი,
მერე რატომ — არაა გასაკვირალი?! ...

* * *

ძმობა კარგია ერებში,
თუ შეთანხმდებაა — ენებში.

* * *

ხვალე მოდი ასია,
გეტყვი: მასეა თუ ასეა.

* * *

ნუ ნანობ — ცოდვებს.
ნუ მიეცემი — ბოდვებს,
თუკი ჭკუაზე — მოხველ.

* * *

ვინ ვინ არის, ეხლა მაინც მიხვდი?
მერე! ბოდიშს ვის წინაშეა რომ იხდი?!

* * *

ურთიერთობა არის ყველგანა,
ეს შენ არ იცოდი განა?

* * *

შეინახე სული წმინდად.
ამას გირჩევ, ჩემო ძმაო,

არა მტრულად, მეგობრულად.
მერე ნახავ, რომ მოკვდები,
ვერ იქნები არხეინად.

* * *

ნუ ნანობ ეხლა ზედმეტად შენა,
დროზე გეფიქრა, ჩემო ელენა.

* * *

ტყუილს ნუ იტყვი, ჩემო ბარნაბა.
იცოდე იგი შენ წინ დაგხვდება.
და ამის გამო მერე იქნება,
თვალები, რომ დაგიბნელდება.

* * *

ქალის ბაგეს, თვალებს „მავნეს,"
შეიძლება შეედაროს რამე?!

* * *

სული მიდგას სანამდის,
თავო, არ მოგასვენებ არაფრით.

* * *

ნეტარებას თქვენ რას უძახით,
ვერ მეტყვით?!
ყველაფრის შენით მიღწევას.
სიკეთის თესვას, არ მოდუნებას.

* * *

ო, ხაიამის რობაიები თუ
მოგწონთ, მითხარით?

ბრძენი ყოფილა ომარი.
ნათელი, ცოდნის მომტანი.

* * *

ფუჭად გარჯა არ არსებობს.
თუკი გრძნობ, რომ არსებობ,
ემსახურე საარსებოს.

* * *

დალიე ღვინო, შორიდან მოხველ?
გვერდით მიგულე, თუკი არ ლოთობ.

* * *

სულო მებრძოლო, სულო ძლიერო,
ცუდ რამეში არ გადამძალო.

* * *

შენ ნუ იდარდებ წარსულზე.
ნუ მიეცემი უიმედობას.
კაცი მოკვდება, მუდამ იქნება?!
ნუ დაუყოვნებ შენგან შენდობას.

* * *

მითხარ სათქმელი, ჩემგან რა გინდა.
ღმერთმა ასეთი ხვედრი მარგუნა?!
ველარ გავიგე მე ამ ქვეყნისა, -
შენ გავალია, საქმის განკითხვა?

* * *

ყვავილის გარეშე რა არის სილამაზე?!
სატრფო გყავს? მაშინ იამაყე.
ლოცვის დროს, სული მიაბარე.
გიდალატა? მიდი მიაყარე.

* * *

მერიქიფევ?! ღვინოს მისხავ?
მე რომ ვთვრები, ვერა ხედავ?
ამ საქმისათვის არ ვარგივარ,
ვერ მეტყვი და ვერ გამკიცხავ?!

* * *

მე არ ვცხოვრობ ჩემთვის მარტო.
არც დაველებ დროს ტარებას.
მინდა შრომა, ახლის ძებნა,
ხვალე ჯობდეს ძველსა ჩვენსას.

* * *

ულევად უნდა იყოს ქვეყანაზედ,
ჟანგბადი, წყალი და განათება (მზე).
დანარჩენს რაღაც ეშველება.
თუკი ივარგებს საზოგადოება.

* * *

წიგნი წყაროა ცოდნისა,
რად მინდა ისე მოდიზა.

* * *

ღვინოვ! რამდენი შრომა გჭირდება შენა.
ამიტომაა, რომ ყველას გამოაბავ ენას?!
მარა ვინმემ თუ გადაამეტა ნორმას,
კარგადაც იცი თავპირის მტვრევაც.

* * *

მიწავ! შენ გამაჩინე,
მიწავ! შენვე მარჩინე.
შენ! მალხინე და მიარე...
აჰა, შენვე მიმიბარე!

* * *

რა გსურს, ჭაბუკო?!
ასე ყოფნა?
ერთ დონეზე, კარგადაც რომ იყო,
არ ვარგა დარჩენა.

* * *

უძრაობა ადამიანის მტერია.
წუთი ხელად გადის.
შეჩერება კი
ყოვლად შეუძლებელია.

* * *

ნუ აყვები, ჩემო კარგო,
ასე ადვილად მოდას.
ჯერ კარგად დააკვირდი,
ვინ რას ბოდავს.

* * *

ქვეყნის პატრონო!
კარგად შემოგვხედე.
ცუდს ნუ გვაპატიებ.
მარა კარგი დაგვიტოვე.

* * *

ქალიშვილო, მოითმინე.
სულგრძელობა იქონიე.
ვიცი არაა ადვილი.
მარა ასეა, თუ ხარ ნამდვილი.

* * *

ცუდია უგულოდ ყოფნა ამ ქვეყნად,
ქალი თუ არ გაღელვებს და არ გედარდება.

მისი სიხარული, სუნთქვა და ლოცვა
თუ არ მოქმედებს და არ გელანდება.

* * *

ხაიამ! პური რად გვინდა,
თუკი ღვინოც არ გვიდგას.

* * *

რომ ღაღადებ: ღმერთო, ღმერთო,
გაიმძღერი, ჩემო ქეთო.

* * *

საქმეს მიხედე, მეგობარო, საქმეს,
რომ ბოდიალობ აქ ჩემთან ამდენს.

* * *

ადამიანო!
სანთელი მაშინ მომაშველე,
როცა სინათლე ჩამიქრება.
როცა ქარი არ იქნება და
არც ჩამებინება.

* * *

შენ! ეს ქვეყანა ასე მხიარული გგონია?
არა ძმაო, მწუხარებით და უბედურებით მოსილია.
ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან, გამოცნობა რთულია.
ხშირად ესაა მიზეზი იმისა, რომ ამდენი სინანულია.

* * *

ღვინოვ! ეგება მეც გამიხსნა გული.
ცხოვრებისაგან კი ვარ ცოტა დაჩაგრული.
შენზე მე ბევრი კარგი მსმენია.
ნუ შედრკები, არ ვარ ისეთი ბრძენია.

* * *

მოველი და მინდა გულში ჩაგიკრა.
ველარ შევძელ ამდენი ხნის ლოდინი.
მარტო ყოფნა შენ რა, აღარ მოგბეზრდა?!
ხელს ნუღარ მკრავ, ბარგად არ მოგედები.

* * *

ნუ იცინი სხვის ვარამზე, ედია,
ჩვენ წავალთ და უკან რა დაგვრჩენია?

* * *

ამის შემყურე ეხლაც ნუ იტყვი,
რომ ცოდვა — მადლის განკითხვა
არ არსებობსო.

* * *

გზას მიმრუდებ? ბიჭო!
არა გრცხვენია?
შენ რა არ იცი, რომ
სწორზე ადვილი გასავლელია?

* * *

ღვინო გისვამს,
ამას ვხედავ მე, ყმაწვილო!
მოიქეცი ისე, არ ვთქვათ,
ტყუილად უფუჭებია.

* * *

იყავი მისთვის საიმედო,
ვინემ მისი სანუგეშო.

* * *

ხაიამო! ღვინო გყვარებიაო,
მაინც ვერ ვიტყვი ამას.
თუმცა შენს რობაიებში
ხშირად კი მოიხსენიებ მაგას.

* * *

სიცოცხლეს ფასი მაშინ აქვს,
თუკი შენ თავად ფასი გაქვს.

* * *

ოდესღაც ამინდიც შეიცვლება,
და ესეც შენ დაიბრალო, შეიძლება.

* * *

ერთი მოვა და სხვა წავა,
ასეა წუთისოფელი.
მარა მთავარი ისაა,
რისი ხარ დამტოვებელი.

* * *

სარდაფში გვიხმობს ჩვენი არსენა,
მოდით, ვიქეიფოთ, ახმიანდა.
მერე ადექი ბიჭო, რას უყურებ,
სხვისი ყურებით, ვერ დარჩები შენ არხეინად.

* * *

ხაიამ! შენ სვი და კარგ ქალებთან იარე.
მათი ლაღობით და სილამაზით იხარე.
ბექან! შენიც არის ეს ქვეყანა.
შენ რა, გაწყენს მასე თუ რა?

* * *

ეხ! ჩემო ქვეყანავ, ვხედავ, რომ
ბევრს დარდობ და ნაღვლობ.
შენ რა ხარ ყველამ რომ კარგად იცოდეს,
განა მაშინ აგრე შეგამკობდა.

* * *

რამდენი ადამიანია ქვეყანაზე, იმდენი
სულია და იმდენი გული.
თვითეულის შინაარსი და მისწრაფება
კი გამოსაცნობად ძალიან რთული.

* * *

ზღვა კოვზით დაშრებაო
ნათქვამი კია მაგრამ,
მაგის მთქმელს პირობები
კი არ დაუთქვამს.

* * *

ეჰ, ვინ რას სჩადის და როგორ ბობოქრობს?
მე არ ვიტყვი, რომ იყავი მკრთალი.
ბატონი, მონა მუდამ იარსებს, ფულიც, მთა მაღალი,
ფრთების მოტეხვით ხარობდი შენ?! აი,... შენი ვალიც.

* * *

მე არ მომწონს მაინც ხალხის გარჩევა,
გარეგნობით, მოქმედებით, გინდა ნადავლით.
ღამეა თურმე, წყვდიადია, კაცი სად არის?!
ვისა აქვს, ვის?! გული ან აზრი მართლა ალალი?

* * *

ადამიანების ბოროტებისაგან
კი ვარ მართლაც გამომმთვრალი.
მარა ბულბულების გალობა... და ტყის შრიალი...
რომ მოგვწონს ჩვენ, აი იქ, როგორ არი?!

* * *

ჩრდილიც და ღამეც გვაგრძნობინებს,
ჩვენ დღის (მზის) სიამეს.
მაშინ ცუდი კაციც საჭირო ყოფილა
და თუნდაც სიავეც.

* * *

ნუ ამბობ, ჩემო ბენო, ასე ხშირად: რომ
ამინდმა შემიშალა ხელი!
გამონახე სხვა საქმე, სჯობია, წინასწარ...
ოღონდ თუკი შეძელი.

* * *

წუხელის ერთი გოგონა შემომიწვინეს, ო! ნელი.
მომეწონა, აღარ დამაძინა, მარა ისევე მოველი.

* * *

ოი, საწუთროვ, შენ რა გითხარ — რატომ ხარ ფლიდი?!
ვინ როგორ მოერგო დროს, იმის მიხედვით მიითვლიდი?
ნუ ისმენ მისას, ვინცა გპირფერობს, იმით ხარ მშვიდი.
წყეულნიც იყვნენ მაჯეთები, სხვანაირად მიდი.

* * *

გულს მწუხარებას აბა რა მოაკლებს, ხაიამო, ამ სიბნელეში.
თუ კაცი ხარობს სხვისი ბორჯვით სიღარიბეში.
სულო მსუნაგო, გააცოცხლე მაინც „მბორიც“და „ლეშიც“.
ნუ ჯეგონება, იცოცხლონ იმათ მერე, ვაი? — სიამეში?

* * *

ეხ, ჯენო ჩვენო ეხლაც ნუ ლაღობ,
ეკალმა იქნება, რომ არ ინაღვლოს?!

სამყარო მშვენიერია, კი, ასეა ნათქვამი.
და ბრძნული განსჯაა მაინც ყველაფრის თავი.

* * *

თავი მხრებზე გინდა, კაცს, მხრებზე, ჩემო გივარგი.
იცოდე ლაშქარითაც კი ვეღარ იქნებოდი კარგი.
ბალახის თელვა? ეგ საქმეა?! ავი, უვარგი.
და თფუ შენს კაცობას,
ბრძოლის ქინს ყურმოჭრილ მონასთან თუ მოიკლავდი.

* * *

ეჰ, რა მოკლეა ეს საწუთრო და აზრი ჩვენი.
მაინც სიცოცხლეს ამჯობინებს სუყველა ბრძენი.
ლომის გულითაც და ძალითაც იყავ მომთმენი.
და სიკვდილის პირას არ შეგაკრთობს მონახდენი.

* * *

ვაჰ, ჩემზედ ერთხელ ხომ მაინც იტყვიან, მოხუცებულა.
ცხოვრებაზე კი არ ვიდარდებ მარა, გავიფიქრებ, ვიბრძოდი ტყუილად.
აღარ იცოდი, ბეჟან? დალიე თქვა გეუბნებოდით, ჩამძახებენ თუკი მე მაშინ,
ცალ ხელში დავიჭერ ყანწს და მათი ლოცვით გაუყვები რა... შინ.

* * *

ბრიყვმა ბრძენს შესჩივლა,
რატომ კოცნი ღვინოს?!
თავის მტერი ხომ არა ვარ,
რაღა სხვაგან იდინოს?

* * *

არა, ღვინის სმას არ ვუარვყოფ,
გითხრა მართალი.

რას სვამ და ვისთან,
სად და რისთვის სვამ — თუ აქვს სამართალი.

* * *

ერთმა მითხრა აგდებულად —
ძალა რამე არსებობს?
თქვა მან ეს და მომაყარა,
ხო... ხო... ხო... ხო!
თურმე ვერ ვცნობ „ა“-ს და „ო“-ს.

* * *

ღვინოვ! შენ მიხსენი!
იტყვის მოყმე ცერად.
ბრძენი გულში გაიელვებს,
თვარ მომადგა — ცელად.

* * *

მახსოვს! იქ რომ ვიყავი!
უცებ დენი ჩაირთო.
მერე! „ჭიალუების ბოკინში“,
მალე ისევ გაირთო.
საღამოს რომ ვწვებოდით,
დილით! აბა! აითო!
ვწუხვარ აქ ჩვენ სად მოვხვდით?
რა ვქნათ, ჩემო ბაითო?!

* * *

ბევრს ნუღარ იტყვი,
ჯერ პატარა ვარ, წინ ბევრი მიდევს.
ერთიც დავლიოთ და დაგილოცავ
იმ შენ — ბიბინებს.
მოიტა ყური, მე შენ გაგანდო
საიდუმლოება, არ გიკლავ იმედს!
მერე რომ არ თქვა, მთვრალიაო და
აღარ იცის თუ რას ღიღინებს.

* * *

ომარ! ბრძენო! ყველა, ყველა, მარა!...
მე და შენ ერთად მაინც არ გვისვია.
ამ ქვეყნიდან გუდა ნაბადის აყრას ჯერ
კი არ ვაპირებ, მარა!
იქ შევხვდებით? — ეს შეკითხვა დამისვია.

* * *

ბევრი სულელი წასასვლელია იმ ქვეყნად ადრეც.
რაღას არ იტყვის, რას არ იკადრებს.
დაე, იქროლოს ქარიშხალმა, იხუვლოს... მეხმა.
იქ სულელებმა იყმუონ ერთად.

* * *

ჩემს ცხოვრებაში მიზიდავდა დიდ კაცთა წრთობა.
მათი შრომით, ალალობით, ნიჭით თუ ნდობით.
სულის სიძლიერით, მიღწევებით, ფართე მოქცევით...
მარა მაინც, რატომღაც, გადამძალა პატარად ყოფამ.

* * *

აღარაჽ ადვილი არა, შეიცნო კაცი.
განა ერთნაირად ესმით, მაგათ სოფლის „ავკარგი".
ოქრო, რომ ოქროა, ისიც სხვადასხვანაირად ელავს,
გინდა? ანდა კი?!
ფეხქვეშ დაიდებ?... ან თავზე? დარჩი ლატაკი.

* * *

შენთან მართლაც რომ ვიტყოდი — ერთად ვილოცოთ.
ერთი ჯამით ვსვათ, ერთად „ვიბრძოლოთ".
ზამთარ-ზაფხულში ერთის სულის თქმით ვიარსებოთ,
ერთის ძახილით.
სიკვდილი მოვა კიდევ? — მესმოდეს შენი შეძახილი.

* * *

კიდეც რომ მოვკვდე, არ დაიჯეროთ.
გლოვა რად გინდათ,ჯობს რომ იმღეროთ.
ნუ შეეცდებით, შეაბათ ვინმეს ძალით ექვანი.
გჯეროდეთ უნდა, მოვა კიდევ დიდი ბექანი.

* * *

ტიალ მინდორში ბობოქრობის აბა რა გითხრა.
მოქეიფე ხარ? ხშირად თვრები? — აბა რა გინდა?!
ჯობდეს ირჩევდე მეგობრებს, უფრო ახლიდან.
გზები გასწავლონ, ადგილები... არა დახლიდან.

* * *

თუ შენ არ მეგულები გვერდით,
ღვინო რად მინდა?
სანამ მიწად ვიქცევით,
ჩემთან არ გინდა?!
გამიღიმე, ტურფავ,
მომეცი ხელი.
დავლიოთ, ერთად
შევიცნოთ სოფელი.

* * *

ღვინით შეძენილი მეგობარი? -
რა სათქმელია...
ღვინოს თუ კაცი ეძებს,
რა საქებია.
ველარ ირწმუნებ იმას, რომ
სხვაში არ გაგვცვლის.
სანამ წავა სხვაგან ის,
შენ კი გადაგცვლის.

* * *

მთვრალი კაცი ბუღასა გავს,
აღზგნებულს თუ მთვლემარეს.
აკრძალული შეძახილით
ცდილობს გახდეს „მენავე“.
გამოფხიზლდა? ბოღმა ახჩრობს.
იმან იყო... მე რა, მე!

* * *

ღმერთი ყოველთვის ასე პირდაპირ კი არ აფრქევს,
კეთილისას თუ შხამისას.
მაგი ჩვენთვის ცოტა გაუგებარი რამაა —
„იმისას თუ ამისას“.

* * *

უსიყვარულოდ სიკვდილი?!
ეჰ, წლების არა მჯერა.
ნუ შეგაძრწუნებს „სიცილი“ —
შენ ხომ ცხოვრობდი ბერად?

* * *

მე ველარ გეტყვი, ძმაო, რომ შენ სმა გიხდება.
აღათს დაიცავ? შეშველება არ დაგჭირდება.
სიმართლეს გეტყვი, ბედის ანაბრად ნუ ტოვებ იმედს.
გამხმარი ვარდი, აღარ მოისხავს ლამაზ გვირილებს.

* * *

დალიე მეთქი რომ გეუბნები, იმას არ ნიშნავს,
თავდავიწყებას რომ მიეცე — ტლიკავლე ჭიქას.
დაგიმორჩილა? ღვინომ. ე! — შენ ის არა ხარ.
მე „სიარაფლე კაცთა“ ვიგრძენ, შენთან ყოფნისას.

* * *

მაშ, რა არის ღერძი „წეს-ცხოვრების“,
სულ ხვევნა-კოცნა?!
რასაც კრძალავენ თუ არ კრძალავენ...
შენ უნდა — „მოხნა“?!

* * *

დაივიწყე? — ვერაფერი.
რამე გაწევს? — „ენაბერი“.
ხეივანში მიდი ჩქარა.
ქეიფია ყველაფერი.

* * *

ჭეშმარიტებავ, შენს ძებნაში
გავლიე დღენი.
ბოლომდე ვინღა შეგიცნობს შენ!
იფიქრებს მაგას სულელი ბრძენი.
დალიე მეთქი, არ გაძალებ —
დარდი შხამია.
ყველა ბრძენი რომ იყოს ლოთი —
სმა არამია.

* * *

ბედი არსებობს განა არა!.
მე მჯერა მისი.
გაწერია შენ შუბლზე
რომ ხარ „იმისი“.
მოიტა ღვინო, გეტყვი მაშინ
მოარულ ფრაზებს.
ეჰ, წლები, წლები გავლიეთ უკვე...
მორჩი ანდაზებს.

* * *

ჩემი აქ მოსვლით
მადლობელი ვარ მე, ძლიერ მათი.
მაგრამ წასვლის დღე, რომ მოვა...
რა საქმეა — გინდა ამათი?!

* * *

შხამის სმას, ოი! თმენა უნდა, ჩემო ივდითი.
სულს და გულს გიხშობს უნამუსო სხვისი ჯირითი.
დათმო? რა დათმო, მერე ვისგან, თანაც როდემდე?!
იგი დარდს ტოვებს, შენ კი? ო! დღემდე?!

* * *

სახვალიოდ საქმის გადადება მხოლოდ მაშინ სჯობს,
თუ კი იცი, რომ იგი ხვალ უკეთ გამოვა.
ისე დროის ფლანგვაა, უკან ხევა, მარტო სიყალბე,
და დღეისათვის უკეთესი საქმეც მისით არ მოვა.

* * *

სიმართლემ თქვა, მე გზა მაინც გავიკვლიეო.
ვინცა მეღობებოდა, სულ ცეცხლში ვაფრქვიეო.
თუ გსურს, რომ იყო შენცა მართალი,
ისმინე და ასრულე შენ სამართალი.

* * *

მარადისობაზე ფიქრი უფრო სისულელეა, ვინემ ნაღდია.
მარადიული მხოლოდ ცის ნაირფერობა და დროის ნავარდია.
დედამიწაზე მუდმივადა ვართ ჩვენა, - ესაა კანონი?!
ეს იმას აგავს, თავი გეგონოს შენ ფარაონი.

* * *

პირველი სიყვარული ძნელიც არის და სასტიკიც.
გონს მოუხმე და რაც შეიძლება დამშვიდდი.
ჭეშმარიტი იყო? შენი მოწონება იყო ნამდვილი?
მაგას გიჩვენებს მომავალი და მერე განცდილი.

* * *

სიყვარული მართალია, რომ კაცს ამაღლებს.
მისი განცდა ბედნიერებაა, ზოგჯერ სინანული.
ყველა მას ვეღარა გრძნობს, ან ვერ ითვისებს.
ამიტომაც ისე ჩაივლის, ვით გაზაფხული.

* * *

რა გინდა, რომ ქნა. ფიქრობდე თუნდაც ყველას საქმე
დიოდეს კარგად,
ბილწი ქმედებით არ შეიძლება ქვეყნის შენება.
იმისა ნაცვლად, რომ იყოს ურთიერთს თმენა, ლხინი, დიდება,
ყველა ხარობდეს ურთიერთ ჯობნით — თვითონ არ უნდათ.

* * *

მე ჩავფიქრდები ხოლმე ზოგჯერ არა იმაზე, რომ
უფულო კაცის ბედი უარესია მდიდარზე.
უჭკუოს განა ცოტას შეხვედრია წილად სიმდიდრე.
მარა ჭკვიანთან შედარებით, აბა იდიდე?!

* * *

ცოლქმრობა არაა ისე ოხერტიალი,
თუ იგებ, გახდი უკვე მართლაც ფრთიანი.
ბედის წყალობით ცხოვრების გება, მერე აღარ გამოვა.
იყავ ამაყი, თუ შენითა ხარ და არარაობა.

* * *

აბა ვის უთქვამს ზეცის ჭვრეტაზე ოდესმე უარი.
თუნდაც შორსა მყოფს, ვინემ იქნება იმისი ზღვარი.

უძლური არის კაცი ამ ქვეყნიდან წასვლისა მიმართ.
და მაშინ იგრძნობს, - ო! კაცნი რანი ვართ, - რანი.

* * *

რატომ კვდებიან ღარიბებიც და მდიდრებიც ბოლოს
მაინც ერთინაირად?
არ გაუფრთხილდა იგი მდიდარი სიცოცხლეს? ნაირ-ნაირად?!
ცდა და სიმდიდრე სიკვდილს მაინც ვეღარ აჩერებს,
ცუდია შიში.
ო! რა კაცი წავიდა — თქვან მერე, ჰქონდეს
ფიქრი იმისი.

* * *

ჯანმრთელობა თუ შენ ხელსა გიწყობს,
მიზანს მიაღწევ, თუ არა ხარ ფლიდი.
ულირს ქებას, ლანძღვა გერჩიოს,
აღარ შერცხვები შენ მერე — იმითი.

* * *

უვიცობის მაჩვენებელია ისა, რომ
შენ გაკვირვებული ხარ.
ჭეშმარიტების მოლოდინში
რავა გაბრიყვებულხარ?!

* * *

ვერ დავიჯერებ მითქმა - მოთქმას თუნდაც იმისას,
სიმართლის ბოძი — წაქცეულა და... ისმის წვიმის ხმა.
თუნდაც იფიქრო, ხარობს ალბათ იდუმალება.
ღმერთს კი — თავის ერთი ქალაც ვერსად დაემალება.

1989-95 წწ.

## სარჩევი

დიდო ილიავ! ილია ჭავჭავაძეს ....................3
ვიოლინო (პატარებს) ....................4
გიყვარდეთ საქართველო ....................5
მაშ გვეთქვას, ისევ გვეთქვას! ....................6
საქართველოვ ....................6
სადღეგრძელო ....................7
საქართველოვ ლამაზო! ....................8
წიგნს (ცოდნას) ....................9
ლექსის წერა ....................11
ალაზნის პირას ....................12
ზღვაზე ....................13
კავკასიონი ....................14
ახალი წელი ....................15
მიმოხილვა ....................16
სამშობლო ....................17
ალეგორია ....................17
ო, ენავ! იაკობ გოგებაშვილს ....................18
ფიროსმანი ....................20
იები ....................20
არღანი ....................21
ორღანის კონცერტზე ....................22
როცა... ანუ ორომტრიალი ....................23
საზღვრებზე ....................24
ეს ქუჩა ....................26
შენ ვის აფასებ? ....................26
ვარდს ....................27
ბულბულს ....................28
ციცინათელა ....................29
მერცხალი ....................30
მეისტორიეს ....................30
მოხუცი ....................31
მარტოდ! ....................32
კაცი თუ ხარ! ....................32

პოეზია ........................................................ 33
მე მინდა ........................................................ 34
შემებლო მეტი! ........................................................ 35
ქუთაისო ........................................................ 36
ჰეი, პეპელავ! (დედის განცდა) ........................................................ 37
ზამთარი ........................................................ 38
დღეს ........................................................ 39
თოვლი ........................................................ 41
ზეცას ........................................................ 42
ჩანჩქერს ........................................................ 43
ცოდვაა ის! ........................................................ 43
მთის მდინარეს ........................................................ 44
ქალს ........................................................ 45
ბარნაბა ........................................................ 45
ვაჟა-ფშაველას ........................................................ 46
პოეტი ირაკლი აბაშიძეს ........................................................ 46
მე მჯერავს ........................................................ 47
ხმაზე ........................................................ 48
დაობლება ........................................................ 48
თემური ........................................................ 49
შეწყვეტილი სიმღერა ........................................................ 50
სასაფლაოზე ........................................................ 51
ხმა ამოიღე! ........................................................ 51
აკაკი წერეთელს! ........................................................ 53
ქარი, რა ქარი! ........................................................ 54
საქართველო ხელს არავის არა ჰკრავს ........................................................ 55
სიმღერა ........................................................ 56
ფიქრებში ........................................................ 57
აბა რა ვქნათ?.. ........................................................ 58
ბათუმს ........................................................ 59
გავხედე წარსულს ........................................................ 59
ოცნება ........................................................ 60
დაბრუნება ........................................................ 61
ლოცვა ვედრება ........................................................ 62

სოფლის დილა ....................................................... 63
მურია! ....................................................... 63
ღმერთი თუ გწამს ....................................................... 64
ქრისტე აღსდგა ....................................................... 65
დედამიწა! ....................................................... 66
რა ყოფილა ეს საქართველო ....................................................... 67
მესმის შენი, მე კი მესმის ....................................................... 68
ასე ვფიქრობ ....................................................... 69
ლექსზე (პოეტზე) ....................................................... 70
მიმღერე, ბიჭო, რამე! ....................................................... 71
აგარაკი ....................................................... 71
მადლობელი ვარ მე ღმერთის მაინც ....................................................... 72
ნუ შიშობ! ....................................................... 73
დათუნია ....................................................... 73
ანტონს! ....................................................... 75
მე ხომ დავცალე ....................................................... 76
ზოგიერთ მთამსვლელს ....................................................... 76
როცა ....................................................... 77
სიმშვიდეა ....................................................... 77
როგორ დავჭრილვარ ....................................................... 77
გულო, რად შეკრთი? ....................................................... 78
მზეო ამოხვალ?! ....................................................... 78
შემაკრთო ....................................................... 79
ვერ აიტანა ....................................................... 79
ისევ იმედი ....................................................... 79
აჰა! ....................................................... 80
ეჰეი! ....................................................... 81
ნაპოლეონ! ....................................................... 81
სად არის ....................................................... 82
მეშჩანებს ....................................................... 82
იყავით ჩვენთან ....................................................... 82
ჩქარა, ჩქარა ....................................................... 83
ეს გზა? ....................................................... 83
ნუ გამაწვალებ ....................................................... 84

არ გირჩევნია? ........ 84
ადამიანი ........ 85
სიბერე ........ 86
ფუტკარს ........ 86
კურდღელი ........ 86
მელა ........ 87
ბორჯომი ........ 87
ფული ........ 87
მეცნიერი ........ 87
სოფელი ........ 87
მერე ........ 88
მარწყვი ........ 88
ექიმს ........ 88

* * *

უსათაურო, მოკლე ლექსები! რობაის სტილში ........ 90

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. III. 2003.
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16.
პირ. ნაბეჭდი თაბახი 7,5.

შეკვ. № 20 ტირ. 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1.